



I	ყრმა იქსო, სურათი.	658
II	ცილი ფისოს! საშობაო ლექსი შიდ შდეიმელისა .	659
III	მაწანწალა ბიჭი, ამბავი ევგენი ურუშებისა. . .	662
IV	ექვს-ნახევარი ინდოური (საშობაო მოთხრობა) თარგმანი კუდრაჭასი.	668
V	პატარა ქალი. ლექსი გელასი	676
VI	მჰედელი და მისი შვილი-შვილი, ნორვეგიული ლეგენდა (დასასრული შემდეგ) თარგმანი ელ. სა- ბურზანისი	677
VII	დაიბადა! გ. ლეჭინისა	684
VIII	წვრილმანი: გამოცანები, ანდაზა, გასართობები და სხვა	685
IX	ზამთარი, ლექსი გ. რუსძისა	686
X	თავის გაჩენილს ლმერთი არ დაჰკარგას, საშობაო მოთხრობა ეპ. გაბაშვილისა.	687
XI	დაღუპული მეზღვაური, ცქვიტისა	684
XII	ზამთრის პირი, ლექსი გ. გორგაძისა	701
XIII	დაკარგული ბავშვი ფრანსუა კოპესი თარგმანი ეპ. შესხისა	702
XIV	სასწაულები სახარას უდაბნოში—იტასი	714
XV	სარჩევი 1913 წლისა	716
XVI	განცხადებები.	

ჯევილის 1913 წლის ხელის მომწერლები
ვისაც უურნალის ფასი გადახდილი აქვთ
საჩუქრათ მიიღებენ
დასურათებულ წიგნ ს.

„ჩვენი მეგობრები“

ჯევილის რედაქციაში ისეიდება ახლათ დაბეჭდილი:

მცენარეები და ცხოველები

ცხელი ქვეუნებისა. (დასურათებული)

ნება დართული კავკ. ოლქის მზრუნველისაგან
სკოლებში სახმარებლათ.



საქმაწვილო ნახატებიანი
ჟურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურლი, გახდი ყანალი.


ი. ღ.

დეკემბერი, 1913 წ.

♦ წელიწადი მეოცდაოთხე ♦

თბილისი
ილექტურომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1913





ცილი ფისოს!

საშობაო.

(ნინო შათურელი)



იცავ, ციცავ, გვითხარ
სწორეთ,
შენ შეჭამე ხაჭაუველი?
გართალი სთქი, არ და
ვიცო

თუ გეავს გულით საუგარელი!

— არა, არა, კიდევ არა,
ჟო, ღედა არ მომიკვდება,
ვუიცავ ჩემი და-ძმების მზეს
და მამაც არ წამიწედება!

შეიძლება სხვები იუნენ,
უცხო ფისო, უცხო კნუტი!

— ულვაშებს რად იწმენდავდი,
თუ არა ხარ შენ ცუდლუტი?!

— ხასიათი ასეთი მაქვს,
მიუვარს მუდამ პირის ბანა;
სისუფთავეს, სიფაქიზეს
არ მამჩნ ევდით მუდამ განა?:
ზამთარია თუ ზაფხული,
დარი არი თუ ავდარი,
პირი რო არ მოიბანოს
არ დადგება ჩვენი გვარი!

— ციცავ, აბა რასა სტუურ,
აბა რად ხარ ჭორიანი;
მაშ რად გქონდა შენ ტუჩები
ისე, თითქოს ქონიანი?

— რაღა გუშინ შემამჩნიეთ,
ასე მქონდა მუდამ წინად;
ენით ტუჩებს ვილოკავდი
ულვაშების დასაბზინათ.

— სიტევას ბანზე ნუ ააგდებ,
უველა კიცნობთ რაც ხარ ციცავ,
ასძი ერთხელ გამოტუდები,
ამ ძობა დღეს ნუღა ჭვიცავ!

— დაიკერეთ, არაფრისთვის
არ დამიდგავს ენა-კბილი,
არ მოძიკვდეს ერთად ერთი
შერჩენილი პირმმო. შვილი!...

ციცო სახლის პატრონთა წინ
გულ-მოკლული თავს აგდებდა,

მაგრამ ერთხელ ებად აღებულს
აღარავინ უჯერებდა.

თურმე ტუკილად აბრალებდნენ
აკაციობას საწეალ ფისოს,
ქურდობა კი ჩაედინა
წელ მოკლე და პლუნა ღვთისოს.

დამქამებათ ჰეოლოდა თან
ლადო, ძაქო, კაკო, კონა
და ხატების მოევარული
მოკუნტული სფირიდონა.

გაეტანათ ბოსლად სუფრა,
გაემართნათ არიფანა
და თუ ფისოს აწამებდნენ
არვინ სწუხდა იმათვანა!..

შიო მლვიმელი



მაწანწალა ბიჭი.



ხალი წლის წინა დამით, ანუ
როგორც გურიაში ქმანიან ცხე-
მლის ჭრა დღეს, მთელი სო-
ფელი დიდ მზადებაში იყო; ამ
დღეს უკელა მხიარულათ გამოი-
უწება, უკელანი რადც დიდ სიამოვ-
ნებას გრძნობენ დღესასწაულის მო-
ლოდინში. ამ დღეს მდიდარი თუ და-
რიბი, დიდი თუ პატარა სისარულით
ელოდებიან ძველ მომაბეჭრებელ წლის გასტუმრებას
და ახალ წლის ძეხვედრის. უხარიანთ კს დღესასწა-
ული იმათაც, ვინც ნამრომნი, მოქანცულნი, კოვა-
ლის ფრით შევიწროებულნი, გაღატაკებულნი არიან...
ამ საერთო საღღესასწაულო სამზადისს არც არ-
ჩილ მოდებამის ქვრივობლები ჩამორჩენიან. ამათ
ცოტა ხნობით მაინც გადაავიწედათ არჩილის დაკარ-
გვა ერთი წლის წინეთ, რომელმაც ჩრდილოეთის ცივ
ქვეანაში განუტევა სული.

როგორც უკელანი, ესენიც ემზადებოდენ „კალანა-

დას“ შესახვედრათ. ნატოს ოთხი ობოლი ჰქავდა, ამათში ერთი ხუთი წლის ქალი და დანარჩენი სამ-ნი—ვაჟები. ნატომ რამოდენიმე თავისი ნაზარდნა-ცოდვილი ქათმები დაჭკლა და ხაჭაპურები დააცხო. უფროსმა ვაჟმა, ცამეტი წლის ილიკომ ცხემლა დას-ჭრა დილისთვის ბუხარში ცეცხლის დასანთხბათ, მერე გოჭი დაჭკლა და შეუდგა მის გასუფთავებას.

დედა ბურებს აპზადებდა. აქეთ-იქიდან პატია ქა-ლი და შვიდი წლის ბიჭიკო შემოსხდომოდენ. ესენი უჩენებდენ დედას ძველ დაცვეთილ ჩუსტებს, რომლი დანაც უველა თითები უჩანდათ. ბიჭიკო, რომელსაც სალათის კალთა სულ ჩამოხული ჰქონდა და სახე-ლოებიც რაღაც ჭინჭებით შეკრული, უსაუვედურებდა დედას.

— რა გიუოთ, შვილო? რითი უნდა გიუიდოთ, რითი? მე, სამიწემ, სად უნდა გიძოვოთ ფული? ორიოდ წვრილ ფეხი გავეიდე და საახალწლოთ იმითი ვემზადები! რა უნდა გიუოთ, გენაცვალე, მამა თქვენი რომ ცოცხალი უოფილიერ ჩაგაცმევდათ და დაგხუ-რავდათ კიდეც. მაგრამ ღმერთმა ასე ინება...

ის იყო სატირლათ მოქმედა, მაგრამ გაახსენ-და ობლები, ახალწლილიწადი და თავი შეიმაგრა...

ბავშვებიც ერთხანს დაბალი ხმით ტიროდენ, მა-გრამ ბოლოს ისინიც გამხიარულდენ და მოჰკვენ ცელქობას.

— წადით, შვილო, შენცა და ბიჭიკოც დუქანში, მოხსის ხორცი იერდეთ და უველავერი მზად იქნე-

-1-

საღამო არის. საშინელი ქარტუქია —თანაც ჭერ
ნავს. ფიფქ თოვლს ქარი ჭარში ათამაშებს. ილიკო
და ბიჭიკო ჩქარის ნაბიჯით გარბიან მახლობელ
სოფლის დუქანში. სუსსი ქარი თოვლს უძაწვილებს
შიგ ცხვირ-აზირში აერის. უცებ მმებს მოქმათ კვნე-
სა, მეჩერდენ, მიიხედომოიხედეს. ილიკომ დაინახა
ერთი პატარა ბიჭი, ოომელიც დობეს გაჭკროდა,
უძრავათ იდგა და ცხარე ცრემლით ტიროდა. ბიჭი
მთლათ შეთოვლილი იქ, ტანზე შეძლეს ცვე იოდა ეპე-
ლაფერი, ფეხ შიძველი. ტიტველი ბარმაჟები ასწი-
თლებოდა. საშინელი სანახაობას წარმოადგენდა. მმე-
ბი განცემულებული შეჭერებდენ ამ აძაგმაგებულ
ბავშვს.

ბავშვის გაჟერა ილიკოს.

მებმა დუქანში იყიდეს სორცი და წამოვიდეს
სახლში თავისი პატარა სტუმრით.

— შენ რა გჭვიან, მმობილო, შეკითხა იღიპო.

— ഒന്നും മറ്റൊന്ന്.—മുഴുവൻ കാരിക്കാ ദിക്കം.

— მეც ხომ ილიკო მქვიან, ჩემი სეხნია ერა
ფილხარ!

ილიკოს მალიან შევბრალა თავისი ახალი ნა
შოგნი ამხანაგი, მეტადოვე იმიტომ, რომ მასაც იღია
კო ერქვა.

— დედა, დახუ, პატარა სტუმარი მოგიუვანე, ფეხ-
შიძველი თოვლში იუო გახერხებული, ჩემი ტოლია,
ამასაც ილიკო ჰქვიან, მიამახა დედას სახლში მისვლი-
სთანავე ილიკო.

— მოვიდეს, შვილო, მოვიდეს. ალბათ უპატრო-
ნო იქნება, თორემ ამ ბეჭნიერ დაქმი კარში რა უნ-
და! წამოიძახა დედამ.

ამაგმაგებული ბიჭი შევიდა თუ არა სახლში, მა-
შინვე ცეცხლს ძიაშურა.

— გისი შვილი ხარ, პატარენ? შეეკითხა ნატო.

— დედა მომიყვდა! მამა გიურ მეავს, სოფელი
სოფელ დადის... სახლ-კარი არა მაქვს, მეც კარ და
კარ დავდივარ.

ილიკომ მონახა სადღაც გადაურილი წუდები, რა-
ღაც ჩასაცმელი, თავზე მოსავდები ებბალახი და ამი-
თი მორთო უკვე ცეცხლთან გამთბარი ბიჭი. მერე
მიუტანა საჭმელი და ისიც მოჰქვა ხარბათ ჭამას.

ილიკო მოუბრუნდა დედას და ჰქითხა:

— მამა რომ იტეოდა სოლმე ქვეებაზე ბევრი
დარიბები არიანო, უსახლვარონი, ამასთანებზე ამა-
ბობდა?

— ჭო, შვილო, დარიბები ბევრი არიან, მა-
ლიან ბევრი.

ნატომ დაუწეო პატარას გამოკითხვა თუ რომე-
ლი სოფლიდან არის, რამდენი ხანია ასე უპატრო-
ნოთ, ახსოვს თუ არა დედა? მაგრამ ბიჭი უკელა-
კითხვაზე არეულათ აძლევდა პასუხს, დაუანტულივათ
იუო და თვალებს აქეთიქით აცეცებდა, თითქოს რა-
მეს ეძებდა.

— ალბათ ბევრმა ტანტალმა გამოასულელა! წია
მოიძახა ილიკობ.

— ჰო, შვილო, რა სეირი დაუერებოდა სოფელი
შა წანწალით, დაეთანხმა დედა.

გა ხშმობას ეგელანი სუფრას შემოუსხდენ, ბავშვების
თავიანთი სტუმარი გვერდზე მოისვეს. მაწანწა-
ლა ბიჭი, თმა გაბურბგნული, თვალებს აცეცებდა და
პირ გაუჩერებლივ სჭამდა.

ბავშვები ვასმბის შემდეგ მოჰყვენ თამაშობას და
მხიარულობას, უნდოდათ სტუმარიც აეკოლიებინათ,
მაგრამ ის ამათ ეურადდებას არ აქცევდა, ბუხარს
მიკდომოდა და თავ ჩაღუნული ტიროდა.

უმაწვილები შეწუხდენ, ილიკოს ცრემლებიც კი
მოადგა თვალებზე.

ნატო ეფერებოდა საცოდავ ობილს, მაგრამ ამა-
ოდ... ის განაგრძობდა ტირილს...

* * *

ახალწელიწად დილას ცა მოწმენდილი იქო.
მზემ თავისი სხივები ზანტათ მოჰყინა წინა დამით
მოსულ თოვლს, დრო გამომვებით მოისმოდა თო-
ფების სროლა, ამითი აღინიშნებოდა რომ დგება
ახალი წელიწადი.

უველაზე ადრე ადგა ილიკო, მან ბუხარში სმე-
ლი ცხემლის შექა შეეარა, რომელსაც წამსვე კვარი-
ჟათ მოეკიდა. გაჩაღდა შეიარული ცუცხლი. ნატო სა-
უბის მსადებას შეუდგა. მაწანწალა ბიჭი ადგა თუ არა,
მაძინევ მოუჯდა ბუხარს და მოჰყენ ტირილს. მერე
ერთბაშათ წამოვარდა და კარებისაგენ გაემართა.

— სად მიდიხარ? მოდი ე სუფრას მოუჯექი, გა-
საუჩმოთ, უთხრა ნატომ.

მაწანწალა ბიჭი.

— მე აქ რა მინდა, წამოიძახა მან ბურტუმენთ,
— იქ უნდა წავიდე, რაიდამაც თოფის ხმა მოისმის.
ბავშვმა გაიძვირა თითა აღმოსავლეთისკენ.

და ერთ წამს მოჰკურცხლა. უმაწვილები გამო-
უდგენ, ეხებწებოდენ დაბრუნებულეულ, მაგრამ მაწან-
წალა გარბოდა რაც მალი და ლონე ჰქონდა.

* *

* *

ოჯახში ეველანი შეწუხდენ, მეტადო ილიკო,
მას ეგონა, რომ კარგა არ გაუმასპინძლდა და ჩაი-
გდო თუ არა დოო, გავიდა მახლობელ სოფელში
მისი ამბის შესატუობათ. ეველან უთხრეს, რომ მა-
წანწალას ერთ ადგილას ვერავინ გააჩერებდა, უბე-
ღურს ბრუნდე სელიც ჰქონდა, რასაც ჩაიგდებდა მო-
იშარავდა, გუმინ მან ვიღაცას მოჰჭარა ლეპვი, და
დაიჭირეს ქურდობაში, უნდა ჩაესვათ ციხეში, მა-
გრამ მოესწრო ვიღაც სკოლის მასწავლებელი, რო-
მელმაც იკისრა ქალაქში მისი წაუვანა, რომ იქ უმა-
წვილების თავშესაფარში გასაწურთველათ მიებარუ-
ბინა.

ევგენი ურუშაძისა.



ექვს-ნახევარი ინდოური

(საშობაო მოთხრობა)



ს ამბავი მოხდა წარსულ შოა
ბას. მაგა სამზღვარ გარეთ
იყო წასული და საქმეების გა-
მო დღესასწაულებზე კედა
ჩამოვიდოდა, ისე რომ ჩვენ
შობა, ახალ-წელიწადი უიმი-
სოთ უნდა გაგვეტარებინა.
ეკალაზე უფროსი შვილი მე
ვიუვი, მერე სოსო, სოსოს
მომდევნო სონა, მერე ნიკო
და კიდევ ნაბოლორა სამი
წლის პალიკო. ჩვენი ოჯახის წევრათ და განუერელ
მეგობრათ მიგვაჩნდა მეზობლის შვილი სანდო. სან-
დოსთან ეზოში მაკოულით ჭარი გვჭონდა გაევანილი.
ამას ტელეფონს ვეძახდით და წამ და უწუმ ტელეფონს
რაწეუნი გაჰქინდა.

დღესასწაულების წინ შევატევთ, რომ დედას ფუ-
ლები შემოედა და შობის წინა დღეებში მე კრება
დავნიშნე, რომელზედაც უნდა გადაგვეწვიტა, როგორ
მივემველოთ სარჯმი დედას. რასაკვირველია მაძინვე

ტელეფონთ სანდოოც მოვიწვიეთ. როგორც კი სან-
დო მოვიდა მე უკელას გამოვუჩხადე რამიაც იუ საქმე
და წინადადება მივუცი ჩვენებს, რომ უარი ეთქვათ
სიმობაო საჩუქრებზე, რომლებსაც დედა დღესასწაუ-
ლებში გვიუდდა სოლმე. სანდოობ მაძინვე მხარი
დამიჭირა, დანარჩენები კი დაფიქტდენ.

პირველით სონამ გამოაცხადა საჩუქარზე უარი
და თან ახალი წინადადებას შემოიტანა, რომ უკელას
ჩვენ უკლაბებში მოგროვილი ფულები დედასთვის გა-
დაგვეცა.

სოსოს ეს, როგორდაც არ იამა.

— საშობაო საჩუქარზე მეც უარის ვამბობ, მაგრამ
ჩემ უკლაბიდან კი ფულს ვერაც გზით ვერ ძმოვიდებ;
რის ვაი ვაგლახით ეს რამდენიმე თვეა ფულს ვაგ-
როვებ თოფის საუდლათ.

ჩვენ ვარჩიეთ ეს საკითხი ხმის უმეტესობით გა-
დაგვეწვიტა და სონას ვარდა—უკელამ უარ. ვსოდეთ
უკლაბების გასსნაზე. ჩვენი გადაწვეტილება საჩუქ-
რების უარ-უოფაზე ქაღალდზე დავწერეთ, უკელამ ხე-
ლი მოვაწერეთ, სამი წლის პალიკომაც კი, და დე-
დას მივართვით. დედამ წაიკითხა, სელი მომხვია და
ალელვებული მითხრა:

— ეს უსათუოდ შენი მოვანილია.

მე შემრცხვა და უკელაფერი უამბე, ისიც არ და-
მიმალავს, რომ სონა ჩემზე გეთილი გამოდგა.

— ბედნიერია ცს დედა, რომელსაც შეუძლია ია-
მაჟოს თავის შვილებით, სთქვა დედამ და ცრემლები
მოერია—განა მე კი ავიღებდი თქვენ მოგროვილ.

ფულს, მალიანაც რომ შემსვეწნოდით? დაუძარა და დაძ.

— დედა, ინდოური სომ გვექნება საშობაოთ?

— ინდოური გვექნება, მაგის დარდი ჩუ გაქვს, მიპასუხა დედაშ ისეთი კილოთი, რომ ეჭვი აღარ შეგვეპარა.

შე მალიან გამესარდა, რადგან უსაჩუქროთ კი დევ როგორმე გაყმლებდით, მაგრამ უინდოუროთ შობა კი სულ ვერ წარმომედგინა. როდესაც, დედა ინდოურის საეიდლათ. წავიდა უკელანი თან წავევით, რომ ამორჩევაში მიგვეცო მონაწილეობა. დიდი, თუ თრი, სუქანი ინდოური ამოვარჩიეთ და დიდი ამბით შინ წამოვიდეთ. მედუქნე ბიჭს გვატანდა ინდოურის წამოსადებათ, მაგრამ ჩვენ ცივი უარი უთხარით და სახლ ამდისინ რიგ რიგობით მოკვეთნდა.

— ღმერთო, რა საშინელი ამბავი მოგვივიდა შობის ორი დღის წინეთ. უკელანი სასადილო ოთახს ში ვიუავით და მე ის იქო სანდოოსთან წერილის დაწერას ვაპირებდი, რომ ოთახში ტირილულობიალით ჩვენი გოგო სალომე შემოვარდა:

— ქალბატონო, ქალბატონო, ინდოური.. ვალარ დაბთავა, დაეცა სკამზე და რის კაიგაგლახით ტირილუსლოკინით გაგვაგებინა რაძი იქო საქმე:— ინდოური მოეპარათ! შე ჩემს უურებს არ ვუჯერებდი. ოთახში ისეთი საზარელი ამბავი ატედა, რომ ძღვი ჰატრონს ვერ იცნობდა. სალომე მოთქმით ტიროდა, სონა მხარეს სელს უკამდა და ამჭვიდებდა, ჰალი

გოსაც ღრიალი გაჲჭონდა, თითქო ესმოდა რაშიაც
იუო საქმე.

დედა ძალიან კარგა მოექცა სალომეს, არ გაუ-
ჯავრდა: არა უშავს რა, უთხრა—უფრო ჭკუას ისწავ-
ლიო. მაგრამ როდესაც სალომე ოთახიდან გავიდა,
მუდამ ისეთი თვალებით გადმოგვხედა, რომ ცხადათა
სჩანდა მეორე ინდოურს ვეზარ გვიყიდდა.

— რა უშავს, ვთქვი მე ოსვრით,—სამაგიეროთ:
ნაზუქადები გვექნება.

უპელანი ჩუმათ შემოგვცეროდენ.

— არა უშავს რა, ქადები ხომ გვექნება, გაიმე-
ორა სოსომ ცოცა არ იერს აკანგალებული ხმით.

ნიკომ კი ველარ მოითმინა და ღრიალი მორთო.

— ინდოური, — ინდოური არ გვექნება...ვაიმე!

— სამაგიეროთ ქადები გვექნება, ანუგებებია
სონა,—და იცი კიდევ რა? ზუდინგი, ვებერთულა
დიდი ზუდინგი რომი გადასხმული, მერე რომს
ფეცხლს წაუკიდებთ.

ნიკოს კი ისევ ღრიალი გაჲჭონდა:

— ინდოური მინდა...დედა, ხომ იუიდი კიდე ინ-
დოურს? აბა უინდოურო შობა კის გაუგია.

დედამ თავი გაიქნა და დაღონებულმა სთქვა:

— არა, გენაცვალე, მეორეთ ველარ ვიუიდი, ფულო
აღარა მაქს.

— სულ ზატარასაც კი ვერ იუიდი? სლოკინით
ეკითხებოდა ნიკო.

— სამაგელო! დაუკავირეთ მე და სოსომ—გა-
ჩუმდი!

— თქვენ თითონ სამავლებო!

— კარგით, ნუ ჩეუბობთ, გუითხრა დედამ, ჩემი
ბიჭიკო ქცლავე გახუმდება. არა, ნიკოჭახ?

— မှတ်... မြန်မာစွဲရွေ့ကြေးလွှာ ပျော်ဖြန်ဆုံးပေါ်မှု ပေါ်မှုများ

— აკი ვსთქები, ნიკო კარგი ბიჭია მეთქი, —
სთქება დევნამ და ნიკოს ამაზე სახე ვაუბორწევინდა.

თუმცა ჩვენ მალიძნ გცდილობდით ღედასთვის არ
გვეჩვენებინა ჩვენი შეწუხება, მაგრამ ნამდვილათ კი
მალიძნ გულნაკლულათ ვიუვით. უხეჩუქროთ და
უინდოუროთ აბა რა შობა უნდა ეოფილიერ. უცბით
მე რედაც აზრმა გამიელვა თავში და კინალამ სიხა-
რულისაგან ციბრუტივით არ დავტრიალდი. ჩემ უუ-
ლაბში შოგროვილი სუთი მანეთით ხომ თამამად ძე-
ძემდო ერთი კარგი ინდოური მეუიდნა! რასაკვირვე-
ლია უნდა გამოვხალმებოდი მადაზიანი გამოვენილ
მშვენიერ წივნების თაროს, რომლისთვისაც გადადე-
ბული მქონდა ეს ფული.

მეგონა რომ ძელი დილას მნელი იქნებოდა
გავპარულიებული ინდოურის საეიდლათ, მაგრამ ადგი-
ლი გამოდგა. დედა სამზარეულოში იუო, სოსო
ადრიანათ სადღაც წასულიერო, სონა პიანისტე და
დკონილი სახით გარჯომობდა, ნიკოს კი თავის უუ-
ლაბიდან გროშები გამოეყარა და ერთი ამბითა სოვ-
ლიდა. მე შეუძნევლით გამოვედი სახლიდან და დუ-
ქნებისკენ გავეძურე. როდესაც იმ მაღაზიას მიუახ-
ლოვდი, სადაც ლამაზი თარო იუო გამოდგმული
თვალები მაგრა დავხუჭე და ისე გაუარე, მაგრამ დიდი
ინდოურით ხელში დუქნიდან რომ გბოუნდებოდი,
ძმეუანაზე უკელა თაროები დამავიწერდა.

ის იუ სახლს მიუახლოვდი კიდეც, ოომ კუთ
სეში სოსოს შევეფეთე. სოსოს ხელში ოაღაცა ეჭირა
გამოხვეული და ჩემ დანახვაზე მალჲე გაწითლდა. მე
სულ ვცდილობდი, ოომ მას არ დაენახა მეც რა მეჭირა
ხელში და სახლამდის სულ გვერდ-გვერდ მივდიოდი.
აი სახლამდის მივედით კიდეც. მე გულის ფანცქას
ლით ველოდი კარების გაღებას. ამ დროს ქუჩის
მოსახვევში სონა გამოჩნდა, იმასაც ხელში ოაღაცა
ეჭირა გამოხვეული, ჩვენი დანახვა თითქოს არ
იამა და ალაუზის კარებთან (ჭიშკართან) შეჩერდა, ვი-
ოომდა ოაღაც საქმისთვის, ეტეობოდა კი ოომ ჩვენ
შესვლას სახლში ელოდა. ამ დროს კარებიც გაბვი-
დეს, მე ვცდილობდი ოოგორმე სოსოს შემდეგ შევ-
სულიერავი დერეფანში, მაკრამ სოსომ არა ჩვეულე-
ბრივი ზრდილობიანობა გამოიჩინა და გზა დამითმო.
ძალა უნებურათ პირველი მე შევედი და კიბეზე ავი-
რბინე. კიბიდან ერთი გადმოვისედე და დავინახე, ოომ
სოსო და სონა კარებთან იდგენ და ერთმანეთს
გზას უთმობდენ. მე უცბათ ოაღამაც გამიელგა თავში,
კიბეზე შევჩერდი და სულ განაბული—ველოდი რა
იქნებოდა. ამ დროს, სოსო და სონა ოომ ერთმანე-
თის პატიუობაში იუვენ, კარებში სანდრო შემოვიდა,
იდლიაში ველებერთელა ინდოურის ფეხები უჩნდა.

— ეს ვაუბატონი დედამ გამოგიგ ზავნათ სამო-
ბაოთ, სიქვა სანდრომ.

მე მუხლები ძომეკვეთა და კიბეზე დავეშვი. სო-
ნამ დერეფნის ფანჯრიდან ქუჩაში გაისედა და ოაღა-
ცა მიბნედილი სუსტი სმით წამოიბახა:

— ვაიძე, დუქნიდანაც მკონი მოაქვთ!

— აქ მომასწავლეს, ბატონ კარელისაგან. მეგვერილია, შემოსვლისთანავე თქვა დუქნის ბიჭია და ვეებერთელა ქაღალდში გახვეული ინდოური იატაგზე დასჭრ.

მე უნებლიერ შევვივლე. თურმე მამასაც უფიქრია ჩვენზე. უველანი ისე განვცვიფრდით, რომ სანდოო გარკვირვებით ხან ერთს, ხან მეორეს შემოგვცექოდა. ამ დროს სამხარეულოდან გამოვიდა დედა, უპან ხტუნვით ნიკო მოსდევდა, ლოუები ასწითლებოდა, სიხარულისაგან თვალები უბრწეინავდა, ხელში რაღაცა ეჭირა და აქეთ იქით იქნევდა.

— აბა ეხლა ვინ არის სამაგელი, უვიროდა ნიკო—მართალია მარტო ნახევარი ინდოური ვიუიდე, მაგრამ ფული აღარ მეუო და მედუქნემაც მითხრა, ნახევარი ინდოური უველას გეუოვათო. მე თუნდ სულაც არა გვთამ!

ნიკომ გახსნა ქაჩალდი და ამოიღო იქიდან ნახევარი ინდოური.

— ჩემო კარგო, ბიჭიკო, უთხრა დედამ და შვილი გულში ჩაიკარა.

— რაც კი ფულები მქონდა, დედილო, უველა ამ ინდოურში მივეცი—უვიროდა აღტაცებით ნიკო და თავმომწონეთ ჩვენ გადმოგვხედა. სოსომ, სონამ და მე ერთმანეთს შევხედეთ და უველამ ერთათ ნაუიდი ინდოურები გადმოვალაგეთ. მე თავი ვეღარ შევიკავე, ჩამოვჯექ კიბეზე და გიუივით სიცილი დავიწევი. ერთი წუთი დედ გაგვირვებით გვიუურებდა ჩვენ, მერე სიცილით გაექანა საკუჭნაოსკენ და იქიდან ვეებერთელა მშვენიერი შემწვარი ინდოური გამოარბეინა.

— ეს მე დილა ადრიანათ ვიუიდე, სთქვა დედამ,
მერე მომიჯდა გვერდით და იმანაც ჩემთან ერთათ
უბოლოვოთ სიცილს მოჰევა.

არა მგონია, რომ ვისმეს როდისმე ამდენი ეცი
ნოს.

— ვაიმე ჩემი წიგნების თარო! ვამბობდი მე
სიცილიტილით.

— აფხუს ჩემი თოფი! უვიროდა სოსო.

— ვაიმე, ჩემი მოლაპარაკე თოჭა. მოსთქვამდა
ხონა.

— ჩემი გროშები! ბურტუუნებდა ნიკო.

მას აქეთ ჩვენ ოჯახში ვერ გავიხსენებდით
„ინდოურს“, რომ უველას სიცილი არ წასკდომოდა.

(თარგმანი)

კულრაჭა.



ପାତିକରା ପାଲିଦ



ଅହାମିନା ଜାଲି ଗାର,
କେଲିପି, ମନ୍ଦିରକାରି,
ମନୀରକୁଳାତ ଧାର୍ତ୍ତିଗାର,
ମରାଦ ସାହେ ମ୍ରିନନାରି.

ପିପଲିଶ୍ଚିର ଗାର ରା ମିଟିମ,
ମିର୍ବାରିର କୁର୍ରାଲି ଗାବେବି,
ମିର୍ବାରିର କେଲି ଶେଖାଲା

ରାବି ରା ଗାରିଦେବି.

ରାତ୍ରିର ଗାରିଗାର ମନମରତାଙ୍ଗେନ,
ହିର୍ମିଶାତ ରାଗେଦାରିବି,
ରୂପା ଗୁଲିଶି ହାମିରାଙ୍ଗେ,
ମେ ମାର ଗନ୍ଧାରିବି!

ଗୋଲା.



შვედელი და მისი შვილი-შვილი

ნორვეგიული ლეგენდა.



წინ, მას აქეთ კარგა ხანია, ცხოვრობდა ერთი მოხუცევა ბული შვედელი სახელათ ანდრია. დიდ ცეცხლთან მუშაობისგან და ჭვარტლისაგან პირისახე სულ გაძავჭ ბოდა, ხელები და კოჯიუებოდა და მმიმე ჩაქუჩის ხმარებით ისე უკანკალებდენ, რომ პირთან მიტანილი საჭმელი ხელიდან უცვინდებოდა ან დაეფრებოდა.

ანდრიას ჰეთავდა პატარი შვილი-შვილი სახელათ ელიზო. მაღლიან ლაპაზი გრა გონა იუო ელიზო, დიდონი და ჭეკიანური თვალები ამშვენებდენ მის სახეს. დედ-მამა დიდი ხანია მოჭედომოდა და სცხოვრობდა თავის ბაბუასთან. ბაბუას მაღლიან უჟვარდა თავისი პატარა შვილი-შვილი და მის ზორუნვაში იუო.

შვედელის ცხოვრები მაღლიან მმიმე იუო; დილიდან საღამომდის მუშაობდა ბნელ და ჭვარტლიან სამშველოში, სადაც მზის შექიცუკი არ ეკარებოდა. ანდრიას

არ ესმოდა არც ფრინველების ჭიკჭიკი, არც საქონლის ღმუილი და არც ადამიანის ხმა, მას უნდოდა, რომ ელიზო ეოველთვის მაძღარი და მხიარული ეოფილიერ, მაგრამ ისე ცოტა ფულს მოულობდა, რომ ნახშირის საეიდელათაც არა ჰქოფნიდა. ამიტომ ანდრია იმულებული იურ შეუსვენებლივ ემუშავნა.

ერთ ციკს ქრისტემობისთვის დილას ანდრიამ შენიშნა, რომ ელიზოს მალიან სციოდა და შიოუდა. მან ამოიღო ჯიბიდან უკანასკნელი გროში, მისცა ელიზოს და უთხრა: დაიწი, გოგონავ, იუიდე შაქრის ჟური, დუქანში კიდევ გათბები, იქ უფრო თბილა. ბავშვმა გამოართვა ფული, თავისი ჭკვიანური თვალებით დააცქერდა ბაბუას და გავიდა გარეთ.

— ნეტაი, რათ არის ბაბუა ასე მოწევენილი, ფიქრობდა ბავშვი.

გავიდა თუ არა ელიზო, ანდრია დაუიქრდა, საუსე უფრო მოეღუშა. არასოდეს არ ეოფილა ასეთ გასაჭიროები, არასოდეს ასე არ უგრძენია სიღარიბე. ის გროში, რომელიც ელიზოს მისცა და ეს ნახევარი ტომარა ნახშირი შეადგენდა მის საორნამებადებულს. რა უნდა ჰქნას, რითი იცხოვოს, როგორ უნდა იმუშაოს, ნახშირი რომ გამოელევა.

მაგრამ სად ეცალა დასასვენებლათ, ან ბევრი ფიქრისთვის. მაშინვე ცეცხლი გააჩადა და მუშაობას შეუდგა. მოხუცს იმედი მოეცა, როდესაც გაჩაღებული ცეცხლი დაინახა... დღეს თუ კარგათ ვიმუშავებ ამ მაბას და კარების ანჯამებს გავაკეთებ და დღესვე შივილებ ამის ფულს, ვიუიდი ერთ ტომარა ნახშირს,

შედელი და მისი შვილი-შვილი.

ერთი კვირა მეუღვა და მერე ღმერთი შემეწევა... და შეუდგა მუქაითად მუშაობას.

ამ ღორს უეცრად კარები გაიღო და შემოვიდა აღელვებული ელიზო. ბაბუამ აღელვება ვერ შეამხნია და ალერსიანათ ჰყითხა: „ხომ გათბი და გამეხი, ჩემთ პატარავ?

— არა, შეძინებულის ხმით უჩასუხა ელიზომ, მე ის ფული ერთ მათხოვარა ქალს მივეცი, რომ მელსაც ხელში ბავშვი ეჭირა და მოწეალებას თხოულობდა. მალიან შემუცოდა.

ბაბუას ეს, ცოტა არ იუოს, არ იამა და დააბუტერდა ბავშვს.

— მერე, რამ შეგამოოთა აკრე? ხომ არავინ შეგაძინა? — ჰყითხა მან ელიზოს.

— იცი, ბაბუა, მე მდინარის ნაპირთან გავიარე, ერთ პატარა ბიჭს ეინული ჩაუტედა და მდინარემა ჩავარდა. მე მივირბინე, გაუწვდინე ხელი და კიდევაც ამოვიუვანე, მაგრამ მას მაძინვე გული შეუწუდა და იქვე დაეცა. სულ სველია, გაცივდება. ბაბუა, გავიქცეთ ახლავე და აქ მოვიუვანოთ, თორემ გაიუნება.

მოხუცებულ შედელს ახლა სახე უფრო მოედუშა ის მისხერებოდა გაჩაღებულ ცეცხლს.

— ბაბუა, რას უურებ? წავიდეთ მალე ბავშთან.

შედელმა ამოიღო ცეცხლიდან გახურებული რკინის ნაჭერი და უნდოდა დაეწეო ჰედვა, მაგრამ მან ის ისევ გრძემლზე დააგდო, ცუდუბრალოთ დამწვარ ნახშირს თვალი გადაავლო, მერე მოჰყიდა ელიზოს ხელი და ორივემ გასწიეს მდინარისაკენ. მიგვა

დებ ძღინარესთან და ხახეს, რომ ბავშვი უგრძნობლათ ეინულზე ეგდო.

მჭედლმა გასინჯა ბავშვი და როდესაც დარწმუნა, რომ ის ცოცხალი იქო, აიგვანა სელში და მიჰვარა დედმამას. ბავშვის დედმამას მალიან შეეშინდათ, ერთი აურზაური ასტესეს, მაგრამ ანდრიამ ისინი დაბმჶიდა, ბავშვს გახადა ტანისამოსი და ლოგინში ჩააწვინა. შეძლებ ელიზო და ანდრია დაბრუნდენ სახლში.

— ელიზო, ჩემო გოგონაფ? ვერ წარმოიდგენ, როგორ ძვირათ დამიჯდა შენი გულკუთილობა. ახლა სელ-ახლათ რითი უნდა გავახურო ქურა, ეუბნებოდა გზაში ანდრია.

ელიზო ხმას არ იღებდა. სამჭედლოში რომ მივიღენ ცეცხლი გამქრალი დაუხვდათ, რეინა გაციებული და ნაკვერცხლების მაგივრათ ნაცარი ექარა.

ელიზო მალიან შეწუხდა, რცხვენოდა, რომ ბაბუას ამდენი ზარალი მიაეენა. სიბრალულით ერთი შესედა ანდრიას, ამოისენება და გავიდა გარეთ. ანდრიამ გააუოლა თვალი სოფლისკენ მიმავალ ელიზოს და შეწუხებულმა წაძიობახა:

— ელიზოს ხომ მაინც მიან, და მოჰევა ცეცხლის გაჩაღებას.

გამოფერთხა რაც კი ტომარაში ნახშირი იქო და სელ-ახლად გააჩადა ცეცხლი. თუ მაშის და ანჯამების გაკეთებას ვერ მოასწრების, სანამ ცეცხლი ჩაქრება, ელიზო და ანდრია დარჩებიან ულუკმა პუროთ და უნახშიროთ, დღესვე უნდა გაათავოს, და

პატრიცის ჩაბაროს ნამუშავარი თუ ფულის მიღება უნდა.

სიცივე თან და თან მატულობდა.

რკინა გახურებულიერ, ანდრიამ დააპარა ამა
ღება, რომ მუმაობას შეუდგეს, ამ დოოს მოისმა
ელიზოს ხმა.

— შემოდი, შემოდი — ეუბნებოდა ვიღაცას, — ბა-
ბუა გაგიკეთებს უოველისვერს.

ანდრიამ მიიხედა ქარებისკენ. სამჯედლოში შე-
მოვიდა ელიზო, მას მოჰევებოდა ვიღაც კაცი, რო-
მელსაც ხელში გატესილი ნაჯახი ეჭირა.

— აბა, უთხარი ბაბუას, რაც გინდა, ამხნ ევებდა
ელიზო — ებ გულგეთილია, უოველისვერს გაგიკეთებს.

— უცნობმა კაცმა ანდრიას ნაჯახი გაუშვირა და
უთხრა:

— ტემში ხეს კსტრიდი და ნაჯახი გამიტება,
ახალის ეიდვა არ მემიძლია, ფული არა მაქვს და
უფასოდ არავის უნდა გაკეთება. მე ერთი გრო-
შიც არ მაბადია, რომ მივცე. თუ უნაჯახოთ დავრჩი
ფულს კერ ვიმოვი და ჩემი ცოლშილი ულუკმა
პუროთ ამომიწედება. თუ ღმერთი გწამს, გამიკეთე
ნაჯახი. მე კერ გაგბედავდა შეწუხებას, მაგრამ შენი
შეილისშილი შემხვდა და პირ და პირ შენთან წამომი-
უვანა. უქვესი შვილი მეავს შესახახავი და ავადმეოფი-
ლედა.

მჭედელმა არ იცოდა რა ექნა, მაშა და ანჯამე-
ბი აუცილებლათ უნდა გაეკეთებინა, რადგან ლუკმა
პური არ გააჩნდა სახლში, თანაც ეს კაცი მცოდე-
ბოდა.

— ბაბუა, რას გაჩუმებულხარ, ჰყითხა ელიზომ,
ნუ თუ არ უძველი ამ საცოდავს, ერთი იფიქრე,
როგორ უნდა არჩინოს ცოლაშვილი, თუ ნაჯახი
არ მქნა.

ანდრიამ მწარეთ ამოიოხოდა.

— ბაბუა, სთქვი რამე — განაგრძო ელიზომ, — ვანა
გარგათ არ მოვიქეცი, რომ ეს კაცი მოგიუგანე?

ელიზო მიგიდა მჭედელთან, თავისი პატაწა ხე-
ლები მოხვია კისერზე. ანდრია თითონაც გრძნობდა,
რომ უნდოდა მოხმარებოდა ამ უბედურ კაცს, მაგრამ
თითონაც ხომ ულუკმასუროთ რჩებოდენ. ელიზო
ცრემლიანი თვალებით მისხერებოდა მას, თან ისე
ეხლერსებოდა, რომ ანდრიამ გადასწუვიტა ნაჯახის
გაკეთება.

— კარგი, მოიტა გაკაკეთო, ჩემსას მერეც მო-
ვასწორებ.

ნახევარი საათის შემდგ შეშის მჭრელი დიღი
მაღლობით წავიდა სამუშაოთ.

— ელიზო, რომ იცოდე, რა ძვირათ დაგვიჯდება
ამაღამ შენი გულკეთილობა, — წამოიძახა ანდრიამ.

დამდებოდა. სამჭედლოში უფრო აცივდა. ბნელო-
და. კუთხემი, გაციებულ ქურასთან, მოჩმებში გახვე-
ული იჯდა ელიზო. ანდრია მოუსვენრათ დადიოდა
წინ და უკან სამჭედლოში.

— მენ ხომ მშიერი ხარ — მიუბრუნდა ის ელი-
ზოს, დილიდან რაფერი გიჭამია. არ გშია?

ელიზომ პასეხი არ გასცა. ანდრიას თითონაც
მიოდა.

— მოწევალების თხოვნა არ შეძიძლია, განაგრძო იმან,— მაგრამ შენთვის მეზობლებს კოტკვ პურის ნატეხს, თუმცა უველასი მძართებს. მალიან გრძა?

ელიზო ხმას არ იღებდა. ანდრია დაღონებული მისჩერებოდა ბავშვს და ბოლოს კადასწევიტა ვისმესოვის ქაქესხა; გამოვიდა გარეთ და ვასტია მეზობელთან. ნახევარი საათის შემდეგ ანდრია დაბრუნდა მხიარული სახით, მიაწოდა ელიზოს პურის ნაჭერი და ნახმირი ქურასთან დაუარა.

— ჭამე, შვილო, პური, — უთხრა ელიზოს, — ეს ნახმირი მეზობელმა მასესხა, დაწოლის დროს დაგანთოთ და ცოტათი მაინც გავთხებით. ერთი საათი იგმარებს, მაგრამ ამის მადლობელიც უნდა ვიუოთ.


ეინვა უფრო ძლიერდებოდა. ანდროს უნდოდა. წეალი დაელია, მაგრამ წეალი გაეინულიერ. ელიზო ისევ კუთხები მოკუნტულიერ და ხმას არ იღებდა, ისე სციოდა, რომ პურის ასაღებათ ხელის გაწვდენა ეზარებოდა. სოფელში ცხრა საათი დაჭკრა.

— შენ აქ იჯექი — პატარა სიჩუმის მემდეგ თქვა ანდრიამ, — მე წაგალ მეზობლებთან. შემას კოტკვ, თორემ ამაღამ ასე დარჩენა არ შეიძლება. მალე დაკბრუნდები, არ შეგემინდეს, ნიხმირი უჩემოთ არ დაანთო. შენ რომ დაწევები მაშინ დაგანთებ.

(დასასრული შემდეგ)

(თარგმანი).

ალ. ხაბერზანია.





ଧାରାଧାରା!



ଏ ବାରସଜ୍ଜଲାଭୀ ଆପିମିଳା,
ମୋକ୍ଷାଭ୍ୟେ, ଶୁକ୍ଳ-ଶ୍ଵରକ୍ଷେତ୍ରାଲୋ...
ଅନ୍ତର୍ଲାଭନୀ ଲାଲାଦ୍ରେବ୍ରନ,—
ମୋହାରିନା ମିଥ୍ୟା ମେଲାନୀ
„ଧାରାଧାରା...ଧାରାଧାରା...“
ମେହରାବର ରୂପ ଲା ବେଳା...
ଗାନ୍ଧାରୀତ, ନିର୍ବାରୀତ,
ନଗାଲାଦେତ କାନ୍ଦଗି ରକ୍ତବିଲୀ.
ତକ୍ଷେଣ, ହାଫରୁଲନା, ମିଦିତ ଦେତଲେଖି,
ଏ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ପୁରାଣ, ଜୀର୍ଣ୍ଣ ହେବିଲା.
ବ୍ୟାଲାର କ୍ଷେତ୍ରସିତ, ବ୍ୟାଲାର ସ୍ତ୍ରୀରିତ.
ଧାରାଧାରା, ଧାରାଧାରା!

ଘ. ଲେଖନିଦ୍ର.





გ ა მ ღ ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი შ. მათიაკშივლის მიერ)

მე ვყრი, შენა სჭიმ, — ცემას რალის მეტრი.

აგერ, აგერ, გორაზედ, კუპრი ამოდენაზედ.

ერთი რამცა თეთრი რამცა, თეთრად გადაპენტილამცა,
ვინც ამას არ გამოიცნობს თხაც არის და ბეცი რამცა...

ფრთხები აქვს და ვერ დაფრინავს, ფეხები არა აქვს და
ვერ დაეწევი. *„სუსა“*

გ ა მ ღ ც ა ნ ე ბ ი ხ უ მ რ ი ბ ა.

გლეხმა იყიდა ოთხი თხა და 12 მანეთი მისცა. როგორ
მოგა თითო თხა?

ა ნ დ ა ზ ა.

(წარმოდგენილი გ. ლეონიძესაგან)

გვრიტის ნახული კანაფი, მარცვალს ვერ გაიკეთებსო...

ხ ა ლ ხ უ რ ი ლ მ ჩ ს ი.

(ჩაწერილი მიხანვე სოფელ პატარძეულში).

თუ არ ვიხმარებ იარაღს, როგორც რიგი და წესია,
რომ არ მეკიდოს წელზედა, ათასჯერ უკეთესია..



გამოცანებისა: ვერცხლის წყალი.

ზმა. ხალიჩა, ჩიტი, ბალიში, ~~მარცვალი~~, ტარიელი, ლომი.

ანაგრამა. ჯავრი, ჯვარი.

ଖରାପଟାଙ୍ଗଠି.



ଅ ଲର୍ଦୁଦେଲ୍ଲି
ଦୁର୍ବ୍ଲାଙ୍ଘନ ଧନ୍ୟଲୀ,
ରୂପଗନ୍ଧିପୁ କୁତ୍ରି,

ଶାଙ୍କି, ଧନ୍ୟଲୀ.

ଏ ଲିହାନ୍ତି ଧନ୍ୟଲୀ

ନାତେଲ୍ଲ-ଶେଷୋ... .

ଜାରି ଡାଢ଼ିକାରି,

ଜାରି, ପ୍ରିୟା!

କୁରଳ୍ଲେ ଏ ଅମ୍ବଳ୍ଲି

ନା, ନାଥି,

ଶ୍ରୀ—ଫନ୍ଦନଲ୍ଲି,

ଦାଲହାଶ—ଗାଥି...


ତମ୍ଭେ. ପ୍ରିୟ ପ୍ରିୟମଳ୍ଲି

ଫିଲ୍ଲିଫିଲ୍ଲି ସପ୍ରିୟା,

ଦୁର୍ବ୍ଲାଙ୍ଘନ ତରତିଲି...

ସପ୍ରିୟା!.. ସପ୍ରିୟା!

୩. ରାଜବାଦ୍ଧ.



ღმერთი თავის გაჩენილს უნუგეშოთ არ დააგდებს.



საშობაო მოთხრობა.

ვილო, მარო, ეს წერილი კნეინა სოფიოს უნდა წაულო. იქნება ღმერთია ინებოს და სადლესასწაულოთ მოგვაწოდოს რამე. მოწყალე ძალიანია, ყოველთვის დაგვეხმარება ხოლმე. გზა კი არ აგერიოს და ღმერთი არ გაუწყრეს შენ ეშმაკს. აი, შვილო, ჩვენ ზევით რო დიდი და სწორი ქუჩა მიუნის იმას დაადექი და სულ წინ იარე, მერე პირველ შესახვევში შეტრიალდი და იქვე მეორე დიდი ყვითელი სახლი რომ არი იქ შედი, ალაყაფის კარებში, მაგრამ განა შენ თითონ არ იყი, რამდენჯერ ყოფილხარ და რამდენჯერ დაბრუნებულხარ იმ ქალბატონის მოწყალებით!

— ბერა, გზას როგორ ვერ გავიგნებ. მაგრამ შინ რომ არ იყვნენ და ხელცარიელი დავბრუნდე? ეშმაკურის ღიმილით უთხრა პატარა მარომ ბებიას და თან ტანთსაცმელს სწორება და გასუფთავება დაუწყო.

— შინ იქნებიან, შვილო, ეხლა ისეთი დრო არის, რომ გისაც რამე აბადია ოჯახის სამხადის თავს როგორ დაანებებს. კნეინას ბავშვებიც უთუოთ გაჩუქებენ რასმე. გახსოვს, შარშან რამდენი სათამაშოები გამოგიგზავნეს?

— კი მახსოვს, ბები, როგორ დამავიწყდება. ერთი მორ-
თული ატლასის კაბიანი ბიჭი რომ იყო და ფეხებ შუა და-
კიდულ ძაფს რო დავწევდით, რა რიგ აპარტუნებდა ფეხებს
და ხელებს, კიდე ..

— ჰო, გენაცეა. გააწყვეტინა ბებიამ მაროს ტკბილი
მოგონება. — მაშ წადი ჩქარა, არ დაგაგვიანდეს და მალე ჩა-
მოირბინე. სხვა რო არა იყვეს რა ორიოდ კოვზ ჩაის და
ათიოდ ნატეხ შაქარს მაინც გამოგატანს და მე და ბებერი
პაპაშენი თბილი ჩაით მაინც გავიხსნილებთ ხვალინდელ ბრწყი-
ნვალე დღეს...

მარო ლამაზი ცქრიალა გოგო იყო და საშინელმა სი-
ლარიბემ და მუდმივმა შიმშილმაც ვერ წართვა იმას ბუნებ-
რივი სიცულლურე და ონბაზობა. ის სულ ხტუნვით და ლი-
ლინით მირბოდა, ალაგ ალაგ ჩერდებოდა დუქნების წინ და
ყველაფერს ისე დაკვირვებით ათვალიერებდა, თითქოს ეს-ეს
არის სასყიდლათ მობრძანებულა მაღაზიაშიო.

— რა გნებავს, პატარა ქალო? რომელი ხილი აგიშონო?
ეკითხებოდა ბაყალი.

— გაშლი, მსხალი და კაკალი ხარხარით უპასუხებდა
მარო და კვლავ გარბოდა და ოცინოდა.
შებინდებული იყო, როდესაც ის კნ. სოფიოსას მიეიღა. მძი-
მედ თავი დაუკრა, ბებიას ბარათი მიართვა და მოშორებით ჩა-
მოდგა, პასუხის მოლოდინში.

— ნინო, მოდი ერთი აქ, ამ პატარას ჩაი დაუსხი, უბია-
ნა სოფიომ დედაკაცს — და წასალებათაც კარაქის და ყვე-
ლის ნაკრებიც პარკში ჩაულაგე. ცოტაოდენი ჩაიც და შა-
ქარიც ჩაუწყე. საცოდავი ამის ბებია და ორთავ თვალით ბრმა
პაპა ამის ანაბარა არიან. თუ ეს არაფერს მიუტანს შიმში-
ლით დაიხოცებიან.

— ლერთმა გადლევრძელოს, ქალბატონო, შენი მოწყა-
ლე გულისათვის, მაგრამ ბევრი ადამიანი კი ტყუილათ წუ-
წუნებს და ყველას თავს აბეზრებს... საქმეს აჭირებენ ამდენი
თხოვნით!

— მაშ აბა წამოდი ჩვენსა და ნახე, როგორ არიან სი-
ცივით მოკუნტულნი საცოდავი ბებრები, სიანჩხლით მიუგო
მარომ დედაკაცს და თვალები ცრემლებით აევსო.

— აფი ნუ ხარ, ჩემო ნინო, გაუჭირებლივ, რომელი ადამიანი გაიშეერს ხელს სათხოვნელათ? უთხრა სოფიომ ნინოს. მე მაგის ბებიას კარგათ ვიცნობ, კარგი დედაკაცია, შრომის მოყვარე, მაგრამ ქმარი დაუბრმავდა, თითონაც ბევრის შრომით დაუძლურდა და სიარული იღარ შეუძლიან. ამათი თვალიც და ფეხიც მარტო ეს გოგონა და არის.

— აი, შვილო, ეს ათი შაური პაპა შენს წაუღე. ეს შაურიც შენა, კონკაზედ დაჯექი და ისე წალი, თითქმის დაღმებულია და გზაში არა შეგემთხვევს რა.

— დედა, დედა! რომ იცოდე რეები მოგვიტანა დეიდა ნატომ! ღრიანცელით შემოცვივდნენ სოფიოს ოთახში ბავ-შვები და პატარა მარო რო დაინახეს, უცებ შეჩერდნენ.

— აი, შვილო, თქვენი ნაცნობი მარო გამოუგზვნია ბებიას, დახმარებას გვთხოვს, ხომ იცით რა უბედურები არიან — ამისი პაპა და ბებია? იქნება თქვენც გაატანოთ რამე ამ ობოლ გოგოს?

— გავატანთ, დედილო, გავატანთ! მხიარულათ შესძახეს ყმაწვილებმა და საჩქაროთ გამოურბეინეს თავიანთ ოთახი-დან რამდენიმე სათამაშო და ტკბილეულობით სავსე პარკი.

— ეს ეხლა წაიღე, მარიკო, ეუბნეოდა სოფიოს ქალი და-რო და ახალწელიწადს რო შობის ხეს გავმართავთ, მაშინ უფრო ბევრს მოგცემთ. მაშინ შენც ხომ გვეწვევი? ახალი კა-ბა გაქვს, ბაშმაკები? მაშინ, ვეჩერი იქნება, ყველანი ახალი კაბებით ვიქნებით...

— კარგით, კარგით! ახლა წავიდეს, თორე ძრიელ დაუ-გვიანდება და მაგის ბებიას გული გაუსქდება შიშით. ზოგი მაშინ ელაპარაკეთ, როცა კიდევ გეწვევათ, უთხრა დედამ შვი-ლებს და მარო დიდი გამოკრულ სალფეთკით გამოისტუმრა სახლში.

თუმცა ბარგი კარგა მძიმე იყო, მაგრამ მარო მაინც ყო-ჩალათ გარბოდა და თან მხიარულათ ღილინებდა, უცებ კონ-კის წითელი თვალები დაინახა, მოაგონდა ხელში მაგრად და-ჰქონილი შაურიანი და საჩქაროთ მიირბინა სადგურთან, იქ აუარებელი ხალხი უცდიდა ჯერსა და პატარა გოგონა რის ვაი ვაგლახით აძრა სკამზედ, თამაბად გამოიჭიმა, სალფე-

ტკი კალთაში ჩაიღო და არხეინათ დაიწყო აქეთ იქით ყუ-
რება.

ქალაქი სადღესასწაულოთ იყო გაჩირალდნებული, ქუჩები მოსეირნეებით სავსე. კონკები ციცინათელასავით დაფრინავდნენ და შეუწყვეტლივ აწეარუნებდნენ ზარებს, დართულ დაკაზმული ხალხი პატარა ბავშვებით შედიოდ — გადიოდნენ ვაგონებში. მარო ყველას პირ დაღებული შეპყურებდა და სრულიათ გადავიწყდა თავის სახლის სიახლოეს ჩამოხტომა. ამასობაში კონკა რკინის გზის ვაგზალთან გაჩერდა და კონდუკტორმა მაროს ხელი წავლო:

— აღარ გადმოდიხარ? ხომ ხედავ ვაგონი უკან უნდა გავაბრუნო და ძირს ჩამოსასვლელათ დევებმარა, მძიმე სალფეთი ჩამოულო.

მარო ახლა კი მიხვდა რომ თავის სახლს ასკუდა, მაგრამ ძლიერ არ შეწუხებულა, არ გვონა რომ სახლს ასე გაშორდა; ის პირველ გაჩაღებულ ფანჯარასთან მიყიდა და შეკრული სალფეტკიდან ამოაძვრინა ფეხ მოტეხილი, მაგრამ მაინც ლამაზი და შშვენივრით მორთული დედოფალი.

— შენ კი გენაცვალე „ბარიშნა“, რა დახატული ხარ, რა ლამაზი თმები გაქვს. მაცალე, როგორ დაგვარცხნო, როგორი კრავოტი გაგიკეთო... და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა უბედული ბავშვის ალერსი თავის ახალ შეძენილ მეგობართან, რომ პოლიციელს ხელი არ წაეკლო პატარა გოგოსთვის.

— օվ հաս զայրացնելունեան, Ցը Բայթիու! Ցագու և աելու Ցու!

— აგჭალის ქუჩა აქედან შორს არის? მოწიწებით შეეკითხა მარო პოლიციელს. — ჩემი სახლი კვირაცხოვლის ქუჩაზეა...

— Га́ло, Га́ло! Ура́туйте бра́та Золотоу́йко, кото́рый съезди́л в
Я́росла́вль и не вернулся — Га́ло, уже 10 часовъ, на
улицѣ нельзя стоять!

მაროც წავიდა, თუმცა არ იკოდა საით იყო იმის სახლი და რა ლიდი მანძილი ჰქონდა გასავლელი. ერთი ქუჩიდან მეორეზედ გადადიოდა, მეორედან მესამეზედ და გზა და კვალი მოლად აერია. ქუჩაში ხალხის სვლა შეწყდა. აქა იქ თითო აროლა დაგვიანებული გამვლელი თუ შეხვდებოდა

დამერთი თავის გაჩენილს უნიგენშოთ არ დააგდებს. 691

ვინმე. ამის პატარა გონებაც მიხვდა, რომ საშინელ განსაკლე-
ლში ჩავარდა და ატირდა. სიცივისაგან ხელები სულ მთლად
დაეკრუნხხა და თან მძიმე ბარგის ზიდვამ არაქათი წაართვა,
ფეხებს ძლივას და აბიჯებდა.

— ვაიმე, ვაიმე, ბებილო, ვაიმე! რაღა ვქნა, რაღა მე-
შველება! და ქანც გაწყვეტილი ერთ გაჩაღებულ კიბეზედ ჩა-
მოჯდა. თავისი ძვირფასი, სალფეთკი გვერდ მოიდო და სიცი-
ვისაგან გალურჯებულმა თვალები დახუჭა და ნელა-ნელა
ჩეეძინა.

* * *

თითქმის თორმეტი საათი იყო, როდესაც ლამაზი ეკი-
პაჟი გაჩერდა იმ კიბესთან, სადაც პატარა მაროს ჩეეძინა. იქი-
დან ორი მძიმე შავებით ჩაცმული ქალი გადმოხტა და ორ-
თავენი პატარა გოგოს დანახვაზედ უცებ შესძგნენ.

— დედა, — ხედავ პატარა გოგოს სძინავს და თან რა რიგ
კანკალებს!

— უბედური, ნეტა თუ ვისია, ან აქ ვის მოუყვანია? შე-
სძახა უმფროსმა ქალმა და ბავშვს დაკვირვებით შინჯვა დაუ-
წყო: — რა ლამაზი გოგონაა და რა მსუბუქათ აცვია. სიცივით
მოკვდება...

— დედა, რის ვუყურებთ? დაუძახოთ მსახურს და სახლში
შევიყვანოთ. თუ მალე არ უშველეთ, კიდეც გაიყინება ეგ
საწყალი.

— სახლში შევიყვანოთ? მერე ხომ ჩვენ დაგვაწვება კის-
რათ. ვინ იცის ვისი შვილია, რა წრიდან არის!

— რეგბს ამობ, დედა! რა დროს ეგნია, აღშფოთებით წარ-
მოსთქვა უნცროსმა ქალმა და ზარი ჩამოჰკრა შესასვლელ კა-
რებს.

კარი საჩქაროდ გააღო ლაზათიანათ ჩაცმულმა მსახურ-
მა და ქალბატონების ბრძანებით მარო ხელში იყვანილი შეი-
ყვანა თბილს და განათებულ სადგომში. მარომ ოდნავ თვა-
ლი გაახილა, მაგრამ დაღალულობამ კვლავ დასძლია და თვა-
ლები დალულა და რაც შემდეგ შეემოხვა მშვენიერ სიზმრათ
წარმოუდგა.

უნცროსმა შავებით ჩაცმულმა ქალმა მოახლის დახმარე-
ბის, საჩქაროზედ ტანთ გახადა სიცივისაგან გაფიჩულ ბავშვს
და წამზედ თბილ ვანაში ჩასვეს და დიდის სიფრთხილით გა-

ბანეს, მერე სუფთა ზეწარში გახვეული გაჩაღებული ბუხრის წინ გაამშრალეს, სუფთა საცვლები ჩაცვეს და ლამაზ ლოგინ-ზედ დააწვინეს.

— აბა, ახლა ეს რძეც გადაყლაპე, ალერსით უთხრა სა-თნოებით საესე ხმით დიასახლისმა და მაროც დიდის სიამოვ-ნებით დასთანხმდა, მით უფრო, რომ შიმშილი პატარა გო-გოს სიცივეზე ნაკლებ არ აწუხებდა.

მარომ კვლავ დახუჭა თვალები, მაგრამ უცებ წამოჯდა ლოგინში და აქეთ იქით ყურება დაიწყო:

— ჩემი სალფეთკი, დედოფალი?..

— სუყველაფერი აქ არის. ნუ გეშინიან! ეხლა ტები-ლათ დაიძინე და ხვალ ჩაგაბარებ. კვლავ ალერსით უთხრა დიასახლისმა და საბანი ამოუკეცა.

რამდონიმე წამის შემდეგ ბავშვი ღრმა ძილმა შეიძყრო. ყმაწვილი ქალი დიდის დაკვირებით უყურებდა თეთრ ბალი-შეზედ მდებარე პატარა თავს, წაბლისფერი ხუჭუჭებით შემ-კულს, წითლათ გაღაელაუღებულ ფუნჩულა ლოყებს, მწყობრს ნაზ სუნთქვას ისმენდა ბავშვისას და ცრემლი ცრემლებზედ სცვივოდა.

— შვილო, ელენე, შენ კვლავ სტირი? მწუხარებით შეე-კითხა თავის ქალს, შესული დედა.—ნუ თუ ყოველი გარე-მოება უნდა გიკლავდეს გულს, ჩემო ნუგეშო?

— დედა, დახედე ამ ანგელოზს, ამ სისალის და ბედნიერე-ბის გამომხატველ ბავშს! იმ დალოცვილმა ღმერთმა, თუ ამ უპატრონო, ნახევრათ შშიერ და ტიტველ ბავშს ასეთი ჯან-მრთელობა მიანიჭა, ჩემმა პატარამ, ჩემმა ორთავ-თვალის სი-ნათლე უორუიკამ რაღა დაუშავა? რად წამართვა ჩემი სასოე-ბა, ჩემი იმედი? და ყმაწვილი ქალი საშინლათ აქვითინდა.

— კმარა, გენაცვალე, კმარა! რომ მოოდნოდა რო ეს გომბიო გამოიწვევდა მაგ გვარ შენ მწუხარების, სახლში რო-გორ შემოუშვებდი.

— არა, დედა, ნუ ამბობ მაგას! პირ იქით, ეს ბავშვი დღეიდან ჩემი საზრუნველი უნდა გახდეს. ღმერთმა უთუოდ განგებ მომივლინა, რომ უორუიკას სამაგიეროთ ამაზედ გად-ვიტანო ჩემი სიყვარული, ალერსი... და მეც სწორედ ასე მო-იტცვი.

* * *

საშინელ მწუხარებას განიცდიდნენ მაროს ბებია და პაპა ბავშვის დაგვიანების გამო და მათი მწუხარება მით უფრო საშინელი იყო, რო არც ერთს არ შეეძლო ალაგიდან დაძრა და დაკარგულის მოკითხვა; ისინი მხოლოდ სასოწარკვეთილების მიეცნენ და თავის უზომო ვაგლაბს მხოლოდ მაღლა ღმერთის შექლალადებდნენ: „მაცხოვარო, ქრისტე ღმერთო, ნუ წაგვარომევ ერთად ერთ ნუგეშს ჩვენის სიცოცხლისას! ნუ მოგვაკლებ ერთად ერთს სიხარულს, ერთად ერთ შუქს ჩვენ სიბნელით მოცულ ცხოვრებისას.

— შვილო, მარო, ჩემო მოკიციკე ფრინველო, ჩემო სიბერის ყავარჯენო, სადა ხარ, სადა! გულ შემზარათ მოსთქვამდა ბებია ქეთევანი.

— ჩემო სინათლევ, ჩემი დაბრმავებული თვალების ჩინო, გოგონა, ვინ გაგიტაცა, ვინ ჩადგა ჩვენ საცოდაობაში? მოთქმითვე ბანს ძლიერდა ორივ თვალით ბრმა მოხუცი პაპა თავის მეუღლეს, და ამ გვარ ვაი ვაგლახში გათენდა შობა დღეუბედურებისათვის. იმათი ქოხი, ნახევრათ დანგრეული, ცივი, ბნელი, ყოველ ადამიანურ სადგომის შეხედულობას მოკლებული, უცებ განათდა და გაბრტყინვალდა, როდესაც დილის ათ საათზედ თბილ შალში გახვეულმა მარომ, კარი შემთაღო.

— მარო! მარო! შვილო, ძვირფასო შვილო! ცოცხალი ხარ? კიდევ ელირსა ჩემი თვალები შენ დანახვას? შესწივლა ქეთევანშა და თოხით მიბობლდა კარებთან, სადაც მარო თავ ჩაღუნული იდგა და ვიღაც უცხო ქალს ელოდა.

— მარო, მოვიდა? დაგვიბრუნდა ჩვენი იადონი?! სიხარულით ბუტბუტებდა ბრმა პაპა და თან უსინათლო თვალებილან გაღმომსკდარ დუღარებას იწმინდავდა.

— მშვიდობა თქვენთანა! ვინ იცის რა საშინელი ლამე გაატარეთ? მაპატიეთ, რომ წუხელისვე არ შეგატყობინეთ თქვენი მაროს ამბავი; მაგრამ ბავშვი ისე დაღლილი იყო, ისე დასუსტებული, რომ ვინაობის გამოკითხვა ვეღარ მოვახერხეთ. დღეს კი, გათენდა თუ არა, მარომ ჭიკჭიკი დაიწყო, გაიხსენა თავის საყვარელი პაპა—ბებია და მეც დაუყოვნებლივ წამოვიყვანე თქვენთან, მხოლოდ იმ პირობით, რომ დღეიდან მე ვკისრულობ მაროს აღზრდას და თქვენ სიბერის უზრუნველათ ყოფნას! ტკბილათ ალექსიანათ ელაპარაკებოდა შავათ მოსილი ყმაწვილი ქალი მოხუცებულებს და თავისის სიტყვებით უბედურთა სადგურში მან შეიტანა სიხარული უზომო და კმაყოფილება გამოუთქმელი.

დაღუპული მეზღვაური.



ფანჯრები ათას ნაირად შეყინ
ნულიყვნენ და ზოგ აღგილას ყვა-
ვილები ისე მკაფიოთ გამოხატუ-
ლიყვნენ, რომ ბევრ ალაგის სახლები,
მთები და აღამიანი ნათლათ მოსჩან-
დნენ. ნიკოს თუმცა სციოლა, ცხვი-

რო ინდოურივით გალურჯებოდა, მაგრამ დილა აღრიან ფან-ჯარას შექმოვრიად მივარდა, ახადა ფარდა და სიხარულით ტა-ში შემოჰკა: ლერთო, ვინ იცის რა არა ნახა; მთელი ცხოვ-რება მრავალ სურათებათ ზედ ეხატა. ამ დროს მზემაც ამოა-შუქა და სურათები მრავალ ფრაც ააბრუყინვა. ნიკოს მზის ნათელი კიდეც ძლიერ გაეხარდა და კიდეც ეწყინა, რადგან სურათების გაშუქება გალამაზებასთან ერთად ცოტა ხნის შემდეგ მზე მათ კიდეც გააქრობდა. მაგრამ არა უშავს რა! მერე უფ-რო მშვენიერი სანახავი იქნება, რადგან გალზევება თუ არა ყი-ნული, ფანჯარაზეც ისეთ წყაროებათ გადასკდება, რომ მარტო ცეკვათ ელირება, როცა თითო წვეთი ზემოდან ბზინვით გამოექანება, მინაზეც მრავალ ფრაც დაიკლაკნება, ძალით გზას გაირკვევს და შემდეგ წინწკლებათ დაეცემა. მაგ-რამ ის უფრო ლამაზი არ არის, როცა ერთი და იგივე სუ-რათი მრავალ გვარაც იცვლება! სახლი უცებ კუდ მოგლე-ჯილ ძალს დაემსგავსება, ყვავილი მახიჯ ცხვირათ დაიხა-ტება და ლობის მგზავსი რაღაცა სურათი ლვთის მშობლის ხა-ტათ იქცევა. ახლა ძირს ფანჯარაში ნახეთ რა ამბავია: მო-რევი დგება, ციმციმებს წარმტაცათ მზის შუქზედ; ნამდვილი ზღვაა და მოდი და გემებს ნუ გამართავ, პაჭია წუმწუმის ნამ-წვებს ტივების ნაცვლათ ნუ ააცურებ და გოგრის გულის ჩენ-ჩის ჯავშნიან გემებათ ნუ გადააცევ.

სადღაა სიცივე, თუმცა ნიკოს ხელები ძლიერ დაბუხული აქვს, მაგრამ ვიღა გრძნობს ან სიცივეს და ან სიტიტვლეს. ეხლა მთელი ქვეყანა მის თვალ წინ გადაიშალა, აღარ სცალიან აღარაფრისთვის, არც დედის ძახილი ესმის, არც პატარა ელენეს მღერა, საქმეშია გართული და გატაცებული.

— ეს გემი შორეულ მხარედან მოდის, ოცნებობს ნიკო, ხალხით სავსეა, უჭ, რა რიგ მოჰქრის, რა რიგად ღმუის ქალაქს რო უახლოვდება. ზღვაც ხომ ძლიერ ლელავს; ებრძვიან ზღვა და გემი ერთი ერთმანეთს.

— უ, უ, უ, რა დიდი და ძლიერი ტალღებია, მაგრამ გემი მაინც უახლოვდება ნაპირს, ხალხს ძლიერ უხარიან... მაგრამ ეს, რა ჯანდაბაა!..

ნიკოს დიდი ხანია რაღაცა უშლის, თავისუფალ ფანტაზიას თითქოს რაღაცა უვიწროვებს; ერთხელ შეუგნებლათ ხელი კიდევ გაიქნია, მაგრამ მაინც კიდევ უშლის.

აგერ... ახა, ღმერთო!..

ნიკომ ახლა კი გაბრაზებით ხელი მეორედ გაიქნია და ფანჯარაზედ ბუზი ჩამოაგდო.

ბუზი ზურგზედ დაეცა და უღონოდ ფეხების ქნევა დაიწყო. ვაი, საბრალო, რასა ფიქრობდა და რა მოუვიდა!

აქამიმდე იგი ფარდის ნაოქებში იყო შეხიზნული და გარინებული. ამოვიდა თუ არა მხე, გათოშილი პაჭია სხეული სითბომ სიამოვნებით აუმოძრავა, ბუზი გამოძვრა, სიხარულით გაინაერდა, რადგან სიცოცხლე კიდევ იგრძნო, იგრძნო, რომ სული კიდევ უდგია და ახლა საზრდო უნდა მოსძებნოს სიცოცხლის დასამკვიდრებლათ. და, აგერ, ჯერ ულონოთ ერთი ნაოქიდან მეორეზედ გადაურინდა, შემდეგ სუსტი ფრთები შეისწორა, თავი წინა ფეხებ ქვეშ ამოიდო და როგორც ჩარხი თავისივე საკუთარი წითელი გიგრა ისე დაატრიალა, ნეტა რასა შერებოდა, როცა მან ხორთუმი გამოყო და კაი დურგალივით თითქოს ქლიბვა დაუწყო; შემდეგ უკანა ფეხები ჭიანურივით ერთი ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა და ჰერი! გაფრინდა... მაგრამ ვაი შენს მტერს, რომ ის გაფრინდა.

გაფრინდა ისე, რომ ჰაერი არ შეუნძრევია, უხმოთ და

უდონოთ. სადღა იყო მისი თავ მომაბეზრებელი მუსიკა, მისი დაენინგბული ბზუილი.

აფრინდა ისე, რომ თვითონაც ვერა იგრძნორა და აკი იმიტომ იქვე გაციებულ თუნუქედ დავარდა.

„უ, უ აქ რა ცივა, ჩქარა გავეცალო თორემ ხელ შეორედ გული წამივა. საზრდო მოვძებნო, თბილი ბინა, სანამ ჯავარზედ ვარ“... იფიქრა დახუთულმა ბუზმა და თუნუქიდან ისევ ფანჯარისაკენ გასჭია. მზე იქ ისე ტკბილათ იცინოდა, რომ ის ოხერი სიცოცხლე საბრალო ბუზს ერთი ორად მოანატრა. მერე იქიდან რაღაცა ძლიერ თვალ საჩინოდ იცირება! მგონი იმასა პგავს, ერთხელ რომ იმან ამ წი. რსულ ზაფხულს გული ძლიერ იჯერა. ახ, რა ტკბილი იყო, რა მშვენიერი!

ეს ის დრო იყო, როცა ის მეაგურეს ქოხში გაჭრილ საზამთროზედ ფრიად დაქმაყოფილებული არხეინათ დასეირნობდა. რა სუნი იდგა, რა ბედნიერება სუფევდა! ძირს, სა ზამთროს ქვეშ კი გრძელ ულვაშა შავ ჭიებს დიდი ქორწილი და ზემით ზღრნითა და დუდუკით გაეჩაღებინათ. იქვე კი შერუჟულ და პირ ღია კაცს, საზამთროს პატრონს, ისე ეძინა, რომ გეგონებოდა მკვდარია და აღარც თავისი და აღარც სხვის სარჩო აღარა ფრად არ მიაჩინია.

„ახ, რა დრო იყო!.. მაგრამ არა, ეს სწორედ საზამთროა. მაშ ღმერთს ისე იღარ გაუწირივარ, აღბად იმისთვის, რომ ჩემი სიცოცხლეც საჭირო იქნება ქვეყნისათვის“.

იფიქრა ბუზმა და ახლა კი თამაშათ და სიხარულით ნიკოს თავისაკენ გაქანდა.

— ბიჭოს, რა ამბავია; ეს ბეჭვები რაღა ჯანდაბაა. ჰა, აღბათ ზამთარში თუ მოღის ამისთანა საზამთრო? დაილოცა ლეთის განგება. ის ამ მცენარისათვისაც კი სიცივის დასაცავთ რაღაც ბალანი მიუნიჭებია და ჩვენ, ბუზები კი... მაგრამ რა დროს ფიქრი და წუწუნია.

ეს მცენარეა ულონო და უსულო; იგი მიწას მიჰკვრია, ვერსად ვერ გაექცევა და მე კი თავისუფლათ დაცეირნებ, როცა მინდა ცის სიღრმეში ვარსკვლავთ კოხტათ გავეთამაშები, თავს მოვაწონებ; როცა მინდა თვალ უწვდენელ ხრამში ჭიან ჭველებს სტუმრათ ვეწვევი, ეს კი... ეს მხოლოდ ჩვენს სარ-

ჩენათ არის გაჩენილი. ო, ო, ო დიდია, ალბად ძლიერ მწიფება და რასაკვირველია, როგორც მუდამ მეტი სიმწიფისა—გან გაბზარულ-გაცინებული საღმე იქნება; იჯ, თანაც როგორ დამთბა!

ბუზი მართლაც მოღონიერდა, ნიკოს კეფას თავაზიანად აუგარ-ჩაუარა, შემდეგ ძებნით გაგულისებულშა საჭირისაკე-ნაც აისეირნა.

— ბიჭის, ეს რაღა არის, მოტუსულ მინდორს არა ჰგავს? ალბად ეს წვრილმან ჭიების საცეკვაოთ თუ არის გამა-რთული, თორებ ჩვენი თავისუფალი ბუზები განა აქ დაეტე-ვიან? მაგრამ, ჩუ!.. რაღაცა სუნი მომდის... ახ, რა კარგია. აი აქედან, აქედან ისმის, ალბათ იქით თუ არის გაბზარუ-ლი; დაგელოცა, ღმერთო, სამართალი დიდი მოწყალე და გან-გებიანი რამა ხა!

ბუზი აღტაცებით იმ ადგილას გაქანდა, საიდანაც სუნი მოსდიოდა და ცოტა ხნის შემდეგ მართლა ბედნიერებას მიაგნო. ახლა კი აღარ მოკვდება; სიცივე და სხვა ჭირი მას ვერას დაკლებენ. უშველებელი წითელი გორა ნახა, სადაც ალაგ-ალაგ წითელივე წყარო მზის სითბოსაგან ღდნავ ქონავ-და. სიხარულით აღელვებულმა ბუზმა ჯერ გვერდით აუგარ-ჩაუარა, ალბათ გული ძლიერ თუ უფრიალებდა და მის დაწ-ყნარებას ცდილობდა. მღელვარების გასაქარვებლათ ერთხელ რაღაც ვარჯიშობა გააკეთა, ყირამალა შედგა, უკანა ფეხები გაიძაგრა, გაუსვა და გამოუსვა, მაგრამ რაკი ვერაფერმა ვერ უშველა, თავის თაქს შეუტია.—შეტის შეტი სიხარული მავნე-ბელიაო და შემდეგ გმირულათ გადააბიჯა. ნიკო კი აბა რას იგრძნობდა; იგი ისე იყო ხომალდებით გატაცებული, რომ ყველა მარცხი და ფათერაკი გუშინდელ ამბავთან ერთად მთლათ დაავიწყა. მართალია გუშინ ტახტის ქვეშიდან ბლრიალით გა-მოსულმა დაიფიცა თავის დღეში კეკე—მალულას აღარ ვი-თამაშებო, მაგრამ დღეს რომ იმ ოხერა ლურსმის ნაკაშრი აღარ ახსოვდა?

ბუზი კი ამ დროს ისე მოღონიერებულიყო, რომ გამ-ხიარულებულს ყავარჯენი ხელში აეღო და ახლა ქვეყნის და-სათვალიერებლათ ქვემოდ, შუბლისაკენ ჩამოესეირნა.

— განა ბევრია საჭირო, ჩვენისთანა საწყლებისათვის,

წაიზმუკუნა მან, როდესაც შემოდგომის ხნულივით შავად გა-
დაჭიმულ წარბს მიუახლოვდა და განცვიფრებით უფრო ქვე-
მოდ ხრამს ჩიხედა.

— რა ვქნა, რა ამბავია, რა ლამაზია აქაურობა, აბა ხან-
გრძლივი სიცოცხლე თურმე იმისთვისაა სანატრელი, რომ ბე-
ვრს ნახავ, ბევრს გაიოცებ და მრავალს იგრძნობ. მავრამ, დაი-
ცა, თუ თვალები არ მატყუებენ, მკონი ქვემოთ ტბა დგას.
აგრე, ძლიერ კი ლაპლაპებს და შიგ სარკესავით ყველაფერი
კი სჩანს, თითქოს ღობეც არტყია. ერთი თუ არ ჩაველ და
ამ გახურებულ გულზედ ანკარა წყალს სიამოვნებით არ და-
ვეწაფე... მაგრამ, აი დიდება შენდა, ღმერთო, საკვირველი არ
არის, რომ ეს ერთი საზამთრო მას სულ სხვა ნაირად შეუქ-
მნია, მთელი ქვეყანა ზედ გამოუსახია, მხოლოდ უფრო პა-
წიათ და უფრო ლამაზათ. მაგრამ ის უფრო საკვირველი არ
არის, რომ იმ დროს, როცა მთელი ქვეყანა ყინვისაგან მო-
ტუსულია, როცა ტბანი და მდინარეები ყოველგან შეყინუ-
ლია, აქ თვალ წარმტაცათ ციმციმებს და უცხოთ ღელავს;
არა, უსათუოდ უნდა გავიგო რა ამბავია.—

ასე გადასწყვიტა გაოცებულმა ბუზმა, საფეთქელზედ არ-
ხეინად ჩამოსრიალდა და თვალისაკენ ფრთხილი ნაბიჯით
გასწია. ნიკა კი ამ დროს ძლიერ ღელავდა. ერთი ხომალდი
მეორეს სწრაფად უახლოვდება და აპა, საკაა ღაეჯახება.

უ, უ, უ, ლმუის ნიკო გემის მაგივრათ.—

— თავს უშველეთ, თავს! — გაიძახის რიხიან ხმაზედ და
თან მაზედ რაც უნდა მოხდეს უკვე საშინელს სურათებს
ხედავს.

მაგრამ სწორედ ამ წამის ქვემო ქუთხოსთან ჯერ უსია-
მოვნო ღიტინი იგრძნო, შემდეგ თვალზედ შავათ რაღაცა გა-
ლაეფარა. მან მოუთმებლათ ხელი ისევ გაიქნია და ბუზი ძირს
ჩამოაგდო.

გაწყდა ძაფი ამაღლვებელ ფანტაზიისა. მისი ყურადღება ახლა ბუზის უღონო ფეხების ქნევამ მიიპყრო.

“შე ოხერო, შენა! კიდევ დალოდავ, რა გინდა ჩემგან? წარმოსთქვა გაბრაზებით ნიკომ და ახლა ბუზს მიაცივდა. მას საშრ.ნლად აკვირევბს მისი, იმ გვარი უღონობა, თითქოს ხელი ისე ძლიერაც არ მოურტყავს და დახე, ოდნავდა იძვრის! ზაფ-

დადუბული მეზღვაური.

ხულში კი მუდამ თავ-პირი ჰქონდა გამოთქვეფილი, რადგან თუ ერთი ოხერი ბუზი მიაცივდებოდა, ხელით კი არა, რკინის ჯოხითაც კი ვერ იცილებდა და ახლა კი, დახეთ, მხოლოდ ულონო ხელის დაქნევით რა რიგ დაამონა? აგრეს ფრთებიც რა რიგ გაბრუნდებია! საშინელებაა, საშინელება!

ნიკოს თითქოს შეეჭიშდა და თითქოს გულიც მოუვიდა. მაგრამ, ეჭ! ხომ სულ ერთია, დღეს თუ ხვალ მაინც მოკვდები და მოდი ერთი გმირათ შეგქმნი ამ უკანასკნელ წამს. ხელით გემის უმფროსათ გაგხდი და ზღვის ტალღებთან შენ შეგაბრძოლებ. აბა, დაჯექ, დაჯექ შენა! ჰო, ეგრე! ახლა გასწი ჩქარა.—ნიკო თითქოს ისევ გაცოცხლდა. ბუზი გოგრის გულის ჩენჩხოზედ დასვა, ზღვის ტალღებს მისცა, თვითონ ტივებს მიმართა და გაუტია.

— ო, ო, გემი მოდის, მეორე გემიც, ჩქარა გზა აუქციე, ეი, მეზღვაუო, გზა, თორებ დაიღუპე! ყვირის ნიკო აღელვებით, მაგრამ სანამ თვითონვე გზას აუქციედა, ბუზი გაინძრა, მეორე მხარეს გადიზნიქა, გემი დასძალა და წყალში ჩავარდნილს ჩენჩხოც ზედ გადაეფარა.

— არიქა, უშველეთ, უშველეთ! — უფრო ხმა მაღლა გაპკივის ნიკო და თან გაორკეცებულ ცნობის მოყვარეობით შესცერის, ნეტა რა იქნებათ. მას საშინლათ სურს გაიგოს გემის უმფროსი რა ღონეს იხმარს, ტალღებს რა რიგ შეებრძოლება. ას, ნეტა გადარჩეს, ერთხელ გმირი ბუზი მაინც იხილოს, მით უმეტესს, რომ წყალი ისე პაწიაა და ახლა თვითონაც მიეშველება, საყვირის მაგივრათ ის შეჰქმნის განგაშს, ზღვის კანდელის ნაცვლათ ის გაუცვლევს გზას აბა, უ... უ...

— მაგრამ რაღა უ... ნიკომ ერთ წამს ხმა ჩაწყვიტა და მოიღრუბლა: დახუთულმა და ისედაც ულონო ბუზმა დიდხანს ვერ შესძლო ბრძოლა; ორჯერ, თუ სამჯერ ვაი-ვაგლახით ძლივს ამოიყურყუმელავა, შემდეგ ზურგზედ გადატრიალდა, წინა ფეხი ერთხელ ისე მძიმედ დაიქნია, თითქოს ვისმეს დაემდურათ და გაჩერდა.

ნიკომ გაბრაზებული ძალივით ცალი ყბა ზემოდ ასწია, უგემურათ ჩაიცინა, შემდეგ ბუზი წყალიდან ამოიყვანა, ფარდის კალთით წყალი შესწინდა, ხელის გულზედ დაისვა და ორთქვლა დაუწყო. შენი მტერი, ბუზი აღარ ინძრეოდა. ნი-

კოს გუნება მთლად შეეცვალა, მაგრამ ამ დროს ზემო ფანჯარის ჩარჩოდან მეორე ბუზი ჩამოვარდა, ისიც გულდაღმა დაეცა და ფეხების ქნევა შესწყვიტა.

— ჰო, აი, ესეც ასე მოკვდებოდა!..

თითქოს შვებით წარმოსთქვა ნიკომ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ უმეხად ზედ დაუმატა:

— განა სულ ერთი არ არის, ყინვა სადმე კუნძულში საცოდავათ გააშეშებდა თუ ამ გუბეში ჩაიხრჩობოდა?!.

ამ სიტყვებით ნიკომ ბუზები იქვე დაყარა და მინებს შეხედა: ყინულის ცრემლები ერთი მეორეზედ სწრაფად დაქანებული მორბოდნენ და თან ალმასებივით ბრწყინავდნენ. შეხედა ნიკომ, მაგრამ იქ კი ვეღარ გაჩერდა, ერთხელ ძალზედ გაუსტვინა და ფანჯარას მოშორდა. დედა სახლში არა სჩანდა, თუნუქის კარი ღია იყო, ალბათ შეშისოვის თუ წასულილა, გამორკვეულ ნიკოს ტირილიც მხოლოდ ახლა შეესმა: ყო. გამორკვეულ ნიკოს ტირილიც მხოლოდ ახლა შეესმა: ტახტზედ მჯუომ პაწია ელენეს გალურჯებული ხელები მუხტახტზედ დაეწყო, კისერი გადაეღრიცა და მარტო დარჩენილი კარებს ტირილით მისჩერებოდა. ნიკო მივიღა, ბავშვს დაფხრეწილი რაღაც წამოაფარა, კალთაში ჩაისვა და უხმოთ, უსიტყვით მოეხვია, მაგრამ თითქოს ვეზ ისვენებდა, ბავშვს ივი ხან ფეხებზედ ძონს უსწორებდა, ხან ცრემლებს სწენდლდა, ხელებს თავის უბეში უყოფდა და თან ისე ნაზათ იხუტებდა, თითქოს უმწეოს ნათლად რისგანმე იცავდა.

ცევიტი.



ზამთრის პირი.



ცივდა... ოხერით, ქვითინით,
ხეს მოსწყდა მწვანე ფოთოლი;
ტყემ გაიძარცვა სამოსი,
ქვითინებს მდელო ობოლი..


ველზე მიყუჩდა ფრინველთ ხმა,—
მიწყდა სიმღერა ტკბილია;

გლოვობს ბუნება ლამაზი:
მწუხარე, დალვრემილია!..


წვიმს და წვიმს!.. ცა მოღრუბლული
კმუნვით დასკერის ირესა.
სცივა მიდამოს... ვერ უმზერს
შუქ-მფენ მზეს, მოელვარესა...

მთებზე დათოვა...და თოვლმა
დაპფარა სახე მთებისა...
მოდის თეთრ-წვერა ზამთარი,
მოდის და მოიმღერისა!..

ვ. გორგაძე.



დაკარგული ბავშვი



(ფრანგულ კოპესი)

ობის წინადღით, დილით, ბრწყინვალე და მხიარულმა მზემ მთელი პარიზის არე-მარე გაანათა. ამ დღეს თავის დიდებულ სასახლეში ბანკირმა ეან-ბატისთ გოდფრუამაც გამოიღვიძა.

რა სიხარულს გრძნობს ადამიანი ხოლმე, როდესაც ორი კვირის ღრუბლიან და ნისლით მოცულ არე მარეს ქარის წყალობით შეეცვლება სახე და განათლდება! ვის არ ესიამოვნება მზის სხივით მოფენილი ჭუჩები? კულანი მხიარულათ დაუხვდებიან მზეს, როგორც ძველ მეგობარს. მზე ხომ დიდებული პირია! უწინ მზეს ღმერთათ სთვლილნენ, ადამიანი თაყვანსა სცემდა, მართალია შზე დიდებულია, მაგრამ არც ჩვენი ბანკირია — პატარა კაცი. ის ძალიან მდიდარია და საზოგადოებაში სხვა და სხვა თვალსაჩინო აღილებიც უჭირავს. თითონ გოდფრუას თავის თავი მზეზე ნაკლებათ არ მიაჩნია. საკვირველი არ არის, რომ ჩვენი მოთხრობა იწყება სწორედ იქიდამ, რომ რვა საათზე თხუთმეტ წუთ ნაკლებ — მზე ამოვიდა და ბატონ გოდფრუამაც ვაიღვიძა. ამ ორი დიდებული პირის გამოღვიძება სულ სხვა და სხვა ნაირი იყო. კეთილმა მოხუცმა მზემ ამოსვლისთანავე ბევრი სასიამოვნო და კეთილი საქმე გააკეთა: თრთვილი, რომელიც შაქრის ფქვილივით ეყარა პარიზის ბულვარზე, სადაც ბატონ გოდფრუას სასახლე იდგა მის დიდრონ ხეებს მიაშუქა თავისი მშვენიერი სხივები და

ეს დიდროონი ხევბი ვარდისფერ მარჯნებათ გადაიქცა. კე-
თილმა მნათობმა ამავე დროს თავისი მხიარული სხივები მია-
ნათა ყველა გამვლელ-გამომვლელს, რომელნიც გაჭირებამ
ასე ძღვე გარეთ გამოიყვანა. მზე ერთნაირათ ულიმოდა: ღარიბ
მოხელეს, ძველ სუბუქ პალტოში გამოხვეულს, რომელიც
სამსახურში მიეჩქარებოდა, მკერავ ქალს, რომელსაც თხელი
მოსახურავი ჰქონდა მხრებზე მოსხებული და სიცივით კანკა-
ლებდა, მუშას, რომელსაც პურის ცუა ხელში ეჭირა და მირბო-
და, წაბლის გამყიდვეს, რომელიც მის მოხალვის აპირებდა. ერთი
სიტყვით მზე გამოჩნდა და ყველა გაამხიარულა და ასიამოვნა.

იგივე არ ითქმის ბატონ გოდფრუას შესახებ. იმას ცუდ
გუნებაზე გამოეღვიძა. წინა დღის მინისტრის სადილის შემ-
დეგ, სადაც იმდენი ფერად-ფერადი საჭმელი მიართვეს სუფ-
რაზე, რომ ზოგიერთებს მთელი წლის განმავლობაშიაც არ
ელირსება ამოდენა საჭმლის ნახვა. ბანკირს ამ დილით
კუჭი მოშლილი ჰქონდა. ამან რომ დარეკა, მოსამსახურებ
პირის მოსაპარსი წყალი აიღო ხელში და მოსამსახურე ქალს
მისძახა:

— ცუდათ არის საჭმე! უთუოდ დღეს ჩვენი ბატონი
ცუდ გუნებაზეა. ზარის დარეკაზე ეტყობა!

მოსამსახურე ფეხ-აკრეფით შევიდა ოთახში, ფარდები
ახალა, ბუხარში ცეცხლი დაანთო და ყველაფერი დიდი სიფრ-
თხილით მოამზადა.

— როგორი ამინდია დღეს? — ჰქითხა გოდფრუამ უკე-
ხათ და თან თავის დიდებულ მუცელზე თბილ ფუფაიკის
ფოლაქებს იკრავდა.

— ძალიან ცივა, ბატონო, უპასუხა მოსამსახურემ —
დილის ექვს საათზე შვიდი გრადუსი სიცივე იყო, ეხლა კი
ცა გადიწმინდა, უთუოდ დათბება.

სამართებლით ხელში ბატონი გოდფრუა სარკმელთან მივი-
და, ლეჩაქის პატარა ფარდა გადასწია და როცა ბულვარი მზით
განათებული დაინახა ჰირი მოიგრიხა, თითქოს იღიმებაო. რას
იზამ! რაც უნდა დიდებული და თავმომწონე იყო შენი დიდს
კაცობით, მაინც ნათელი მზე, მეტადრე ქრისტიშობისთვეში —
ისეთი იშვიათი მოვლენაა, რომ ყველას გულს უმხიარულებს!
აკა ბანკირმაც წყალობა მოილო და გაიღიმა. ამავე დრო-

იცინოდა სტამბის შაგირდიც და მხიარულათ ყინულზე მის-
რიალებდა. როგორ ეწყინებოდა და გაწყრებოდა ბატონი
გოლფრუა, რომ ვისმეს მისთვის ეფუვა, სტამბის პატარა შა-
გირდი და ის-ერთ და იგივე სიამოვნებას გრძნობდენ.

ბანკირმა ერთ წუთას საქმეები და თავისი დიდებულებაც
მიიღოიშა და ბავშვური სიამოვნებით შესკეროდა გამვლელ-
გამომვლელს. მაგრამ ამ გართობამ დიდხანს არ გასტინა. სარკმელში ცეკვა და მზის სხივებით სიამოვნება ხომ უსაქ-
მური კაცის, ქალების, ბავშვების და პოეტების საქმეაო. იმას
აშისთვის არა სცალოდა.

ბანკირმა საჩქაროთ პირი მოიპარსა, ტანთ ჩაიცვა და
ჰურის საჭმელ ოთახში გავიდა, საღაც საუზმე მოელოდა.
რაჯგან დღეს ცოტათი შეუძლოთ იყო, ამიტომ სუბუქი საჭმე-
ლები მოართვეს: თოხლოთ კვერცხები და სხვა. საუზმეს რომ
ათავებდა, კარები გაიღო, და ოთახში კოხტა ოთხი წლის პატა-
რა ბავშვი შემოვიდა. მას ცისფერ ხავერდის ტანისამოსში
და ღიღი თეთრი ფრთით მორთულ ქუდში ძალიან სუსტი
და ავათმყოფი შეხედულობა ჰქონდა. ყმაწვილი შემოიყვანა
მომელელმა ნებეცის ქალმა, რომელსაც მეტათ დაფანტული
შეხედულობა ჰქონდა. ყოველთვის ამ ღრის რაული მამას-
თან შემოდიოდა. მამა ათიოდ წუთის განმავლობაში მიეფერებო-
და, მეტი არა სცალოდა, ეტლი გარეთ უცდიდა სხვა-და-
სხვა საქმეზე და კრებებზე ეშურებოდა. ჯანა ამას შვილი არ
უყვარდა? არა, ძალიანაც უყვარდა, მაგრამ რას იზამდა, არ
ეცალა.

რაულის დედა ძველი კეთილ-შობილის ოჯახიდამ იყო, ლოგინობაზე მოკვდა და მას აქეთია ბავშვი უდედოთ იზრდებოდა. იმან დედის ალექსი არ იცოდა, მამაც ხომ გართული იყო საქმეებში, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე შეეძინა, რომ ერთად ერთ მემკვიდრესთვის დაეტოვებინა ბავშვი ამ უზარ-მაზარ მღიდარ სასახლეში სულ მუდამ მარტო-მარტო მოწყენილი იყო.

— გამარჯობა, შვილო, უთხრა მამამ ალექსით. ხელ-
ში აიყვანა და აკოცა. ამ დროს იმას ყველა ერთ წუთას
საჭმები მიავიწყდა.

— გამარჯობა, მამილო, უპასუხა რაულმა,— მამა, განაგრძო ბავშვა,— ამაღამ პატარა იქსო წაღებში ჩასდებს რასმეს?

— ჰო, რასაკვირველია ჩასდებს,— უპასუხა მამამ,— თუ შენ კარგი და ჭკვიანი ბავშვი იქნები— ქალბატონო ბერტა, ხომ არ უჩინით რაულს?

აღმზრდელ ქალს ისე შერცხვა, რომ ვერაფერი ვერ უპასუხა და გაიცინა. სიცილი ბანკირმა თანხმობის ნიშათ მიიღო.

— დღეს კარგი ამინდია, თუმცა კი ცივა,— სთქვა მან: თბილათ ჩაცვით და მონსოს ბაღში წაიყვანეთ. მხოლოდ არ გააცივოთ.

აღმზრდელმა ქალმა ხელ ახლათ გაიღიმა. გოდფრუამ აკოცა ბავშვს, საჩქაროზე გამოვიდა, ეტლში ჩაჯდა და წავიდა.

საქმეები რომ გაათვავა ბანკირს დილანდელი ბასი შვილთან გაახსენდა. მეეტლეს უბრძანა საუკეთესო სათამაშოების მაღაზიაში მიეყვანა. აქ ბევრი ძვირფასი სათამაშოები იყიდა: გორგოლაჭებიანი ცხენი, ხომალდი, რკინის მატარებელი, უა ბევრი სხვა. ყველა ეს ეტლში ჩაულაგეს და კმაყოფილი მამა სახლისკენ გაემგზავრა.

ის სიყვარულით ოცნებობდა რაულზე... იმას წარმოუდგა თავისი შვილი უკვე მოზრდილი. რასაკვირველია მას კარგათ აღზრდის, სხვა და სხვა ენებს შეასწავლის, ხატვას, მუსიკას, სიმღერას... იმას კარგი და კოხტა მიხვრა-მოხვრა ექნება და ვინ იცის, თუ მეფე საფრანგეთში დაბრუნდა, შესაძლოა რაულს სასახლეში საუკეთესო ადგილი მისცენ.

ამ ოცნებებში გართულს გოდფრუას სრულებით დაავიწყდა რა დღესასწაულისთვის შვილს სათამაშოები უყრდა. იმას დაავიწყდა ისიც, ვის სახსოვრათ დღესასწაულობდენ ამ დღეს, დაავიწყდა ბაგაში დაბაზებული ბავშვი, რომელიც, როცა წამოიზარდა, ღვთის მცნებას, ლმობიერებას და თანასწორობას ქადაგებდა. ასწავლიდა, რომ ვისაც უნდა ღმერთმა შეიყვაროს, ის უნდა მთელ კაცობრიობას ემსახურებოდეს.

მეეტლემ დაიყვირა, მის ყვირილზე ალაყაფის კარები გააღეს, ეტლი ეზოში შევიდა და სასახლის კარებთან გაჩერდა.

როცა გოდფრუა დერეფანში შევიდა, გაუკვირდა რომ

მთელი მოსამსახურები აქ მოგროვილიყვნენ. ყველას შეშინებული სახე ჰქონდა, კუთხეში, ოვალებზე ხელებ მიფარებული, აღმზრდელი ქალი იჯდა.

— რა ამბავია? რა მოხდა? დაიყვირა მან.

უფროსი მოსამსახურები წინ წამოდგა და შეწუხებულის
ხმით თქვა:

— ბატონი, რაული...

— რა დაემართა? საღ არის? — გააწყვეტინა სიტყვა აღელ-
ვებულმა გოლფრუამ.

მოსამსახურეებმა ყველ-მ ერთად დაიწყეს ლაპარაკი: „ბერ-
ტამ ბავშვი სასეირნოთ წაიყვანა. იმის მაგივრათ, რომ მონ-
სოს ბალში წასულიყო, უფრო შორს, ქალიქის განაპიროს,
ანიერის საბაჟოსთან გასულა, საღაც თავისი ნაცნობები ჰყავ-
და... ამ უთაურმა ქალმა კარგა ყური ვერ უგდო, ბავშვს გზა-
დაქნა, დაეკარგა... ყველგან მოვძებნეთ, პოლიციაშიც შევა-
ტყობინეთ, ყველგან კაცები გავგზავნეთ, მაგრამ ვერსად ვერ
იპოვნეს. ცუდი ადგილია. ვინ იცის, ყველა მაწანწალა იქ
დანავარდობს... ვაი თუ ბავშვი მოიპარეს“...

გოდგურუა მეხ-ლაცემულივით იდგა; ჯერ ყურს უგდებდა, მაგრამ ვერაფერი ვერ გაეგო, რასაც ეუბნებოდენ; ბოლოს გონქე მოვიდა, მიხვდა, რომ აღმზრდელს ქალს ბავშვი დაუკარგავს და გამწარებული მივარდა იმას, მხრებზე ხელი წაავლო და დაუკარია:

— რა უყავი ჩემი რაული? როდის და სად დაჭკარგე? ეხლავე სთქი! გონება დაკარგული ქალი ხმას არ იღებდა: ტიროდა და კვნესოდა. გოდფრედი იგრძნო, რომ ამ ადამიანისაგან ვერაფერს ვერ გაიგებს და ძირს ჩაირბინა. ეტლი ისევ კარგბთან იღვა, შიგ ჩახტა და უბრძანა მალე პოლიციის სასამართლოში წასულიყო. როდესაც იქ მივიდა, პოლიციის მოხელეები კიდევ წასულ-წამოსულიყვნენ. დღესასწაულის გამო ყველა სახლში მიეჩარებოდა. მაგრამ ბანკირი შეევედრა მეკარეს, პოლიციის უფროსისთვის შეეტყობინებინა: — ბანკირი გოდფრედი ძალიან საჭირო საქმისათვის მოვიდა-თქო... შვილი დაჭკარგია... მოახსენე, აბა მალე!

მეკარეს ოქრო ჩაუდო ხელში. მეკარემ, არ ვიცი სიბ-
რალულით თუ ოქროს დანახვით, მაშინვე კარი გაუდი

და პოლიციელის უფროსის ოთახში შეიყვანა. გოდფრედ
პირის-პირ დიდებულ მოხელესთან იდგა. უფროსი, როგორც
ეტყობოდა, წასასვლელათ ემზადებოდა; ფრაკში იყო გამოწ-
ყობილი და ხელთამანები ხელში ეჭირა. ბანკირი კრძალ-
ვით შესცემროდა ამ კაცს, რომელზედაც მთელი იმისი იმე-
დები იყო დამყარებული. მუხლები ეკვეთებოდა, თავი ვე-
ლარ შეიმაგრა და საგარდელში ჩამოჯდა. უთავბოლოთ დაუწ-
ყო თავისი მწუხარების ამბობა.

იმის ბედზე უფროსსაც შვილები ჰყავდა და თანაგრძნო-
ბით ყურს უგდებდა, როდესაც ბანკირმა გაათავა, უფროსმა
ჰკითხა:

— თქვენ ამბობთ, ბატონო ბანკირო, რომ ბავშვი ოთხ
საათზე დაიკარგა?

— დიახ, ბატონო.

— მაშ ბინდისას, ვმ! ბავშვმა ლაპარაკი იცის? შეუძ-
ლია თავის გვარი და საღაც დგას აუხსნას?

— არა მგონია? ვშიშობ, ვერ მოახერხებს.

— ეგ კარგს არას მოასწავებს...დიალ, თქვენ იძახით,
რომ ანიერის საბავროსთან დაიკარგა? საშიში ადგილია... სა-
სოწარკვეთილებას ნუ მიყერით. ყოველ ღონეს ვიღონებთ.
იქ კარგი გამოცდილი პოლიციის მოხელე გვყავს. აი, ეხლა-
ვე ტელეფონით მოველაპარაკები.

უფროსი გავიდა ოთხიდან. გოდფრედ აღელვებული
იყო და მოუთხენლათ მოელოდა პასუხს. თითქოს ის
იმედი, რომელიც უფროსზე დამყარებული ჰქონდა, შეერყა.
იმას ეგონა, რომ ბავშვის პოვნა შეუძლებელი იყო და საში-
ნელი მწუხარება იგრძნო! თავი ასტკივდა, გული უფრია-
ლებდა. სასოწარკვეთილებით შესცემროდა იმ კარებს, საი-
დანაც უფროსი უნდა შემოსულიყო. ყოველ ხმაურობაზე
კრთოდა. დრო ისე გაგრძელდა, რომ თითქოს უფროსის შე-
მოსვლას აღარ ეღირსებოდა.

ბოლოს ფეხის ხმა მოესმა, კარები გაიღო და უფროსი
მხიარულათ შემოვიდა.

— მომილოცავს, გამარჯვება! თქვენი შვილი უპოვნიათ!

გოდფრედ მივარდა უფროსს და ხელები მაგრათ მოუჭირა.

— თქვენი შვილი ცისფერ ტანისამოსშია გამოწყობილი
და ქულზე დიდი თეთრი ფრთა აქვს?

— დიალ, დიალ,—წამოიყვირა გახარებულმა მამამ,—ის არის, უთუოდ ის არის!

— აი, ყური დამიგდეთ: იქ პოლიციაში მისულა ერთი ლარიბი მუშა და გამოუტადებია, რომ ბავშვი იპოვნა. ამ მუშის აღრესია: პიერონი, ქუჩა კალიო, ქალაქის განაპირობა. თუ ჯხენები გივრგათ—ერთ საათში მიხვალთ კიდეც იქ. უნდა გაუწყოთ, რომ თქვენი შვილი დიდებულ სასახლეში არ იმყოფება. ის კაცი, რომელსაც თქვენი ბავშვი შეუხიზნია, უბრალო მწვანილის დამტარებელია.

გოდფრედი ყურს აღირ უგდებდა, ისე უხაროდა, რომ მზათ იყო თავის შვილის მხსნელს მუხლებზე მოხვეოდა. ისევ ჩახტა. ეტლში, რომელიც დილანდელი ნაყიდი ძვირფასი სათამაშოებით სახსე იყო და გასწია. ცხენები თუმცა დალალულნი იყვნენ მიაქანებდენ ეტლს. აი გაიარეს განათებული ბულვრები და სიმაგრეები, და ვიწრო, ტალახიან, მიყრუებულ ბნელ ქუჩებში შეუხვიებს. ეტლი გაჩერდა ერთ დაბალ ჭუკუიან სახლთან, ფარის სინათლის წყალობით გოდფრედი სახლის ნომერი ძლიეს გაარჩია. აი, სწორედ ამ სახლში დგას ის კაცი, რომელზედაც პოლიციის უფროსმა მიუთითა. ეტლის ხმაურობაზე სახლის კარი გაიღო და ერთი მაღალ-მაღალი, გამხდარი წითელ ულვა-შებიანი, შუა ხნის კაცი, გამოჩნდა კარებში. ბან კირმა შეამჩნია, რომ ცალი ხელი არა ჰქონდა, რაღვან სახელო ცარიელი ეკიდა.

როცა მდიდრული ეტლი და ძვირფასს ქურქში გამოხვეული კაცი დაინახა, წამოიძახა:

— თქვენ, ბატონო ჩემო, უსათუოდ იმ პატარა ბიჭუნიას მამა ბრძანდებით? წასაყვანათ მობრძანდებოდით? ნუ შესწუხდებით, საიმედო ადგილას არის. აი მობრძანდით, ფრთხილათ... ბავშვებს სძინავთ...

პატარა ოთახში შევიდენ. გოდფრედამ მიიხედ-მოიხედა და გაიფიქრა: რა სიღარიბეა. უხეირო სანათური ოთახს ძლიეს ანათებდა. სინათლეზე ღარიბი ოთახის მოწყობილობა თვალებში ეჩირებოდა. ერთ კედელთან ორიოდე დამტვრებული სკამი იდგა, მეორე კედელთან ერთი უუჯრო კამოლი და ერთი მაგიდა, რომელზედაც ვახშამის მონარჩენი ნამცეცები ეყარა.

თაგარენგული ბაჭყალი.

კამოდის თავზე იაფ-ფასიანი სურათები იყო და იმათში ერველის კოშკიც.

სახლის პატრონმა სანათური ხელში აიღო და თითის წვერებზე ოთახის კლოთხეში მივიდა, საღაც საწოლი იდგა. ამ საწოლზე უზრუნველათ ორ ბავშვს ეძინათ, უფროსს ხელი მოეხვია უმცროსისთვის და ისიც გულში ჩაჰქოდა. გოდურუამ თავისი შვილი მაშინვე იცნო.

— ბავშვებს ძალიან ეძინებოდათ,—სთქვა ნელის ხმით პიერონმა,—არ ვიცოდი, როდის მოვიდოდნენ ამის წასაყვანათ, ამიტომ ჩემ ბიჭთან ერთად ჩემ ლოგინში დავაწვინე, ჩემ ბიჭს ყოველთვის კიბის ქვეშ სძინავს თავის საკუთარ ლოგინში. ეხლა კი ვიფიქრე, ორივე ერთად ჩემ ლოგინში დამეწვინა, უფრო თბილათ იქნებიან მეთქი, მე კი მთელი ღამეც რომ არ დავიძინო არა მიშავს რა, ხვალ დილაზე ალიონზე უნდა წავიდე ბაზარში.

გოდფრუა პიერონის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა, ის მძინარე ბავშვებს დასკეროდა და გულში. ახალი გრძნობა ეღვიძებოდა. ღარიბი ლოგინი, უბრალო ნაბდის საბანი და ორი ჩახუტული გავშვი! როგორ, სუსტი გამქრალი და პატარა იყო იმისი შვილი, გვერდზე მწოლიარე ამხანაგთან შედარებით! გოდფრუა შურიო ჩასკეროდა იმ მზე-მოკიდებულ სიცოცხლით სავსე ბიჭის სახეს.

— ეს თქვენი შვილია? ჰეკითხა მან.

— არა, ბატონო, უპასუხა მწვანილის გამყიდავმა,—მე ცოლი არა მყავს, არც შევირთამ. რა ჩემი საქმეა, უხელო აღამიანისათვის ცოლ-შვილი! ეტომა გაუამიარა და ესე დავშახინჯდი. ეს ბიჭი ჩემი მეზობელი ქალისაა. საცოდავი დაქვრიცდა, შვილი დარჩა, მძიმე მუშაობა დიღხანს ვერ შესძლო და მოკვდა. ის საფლავებისთვის მძივის გვირვვინებს ქსოვდა. ამ ხელობით კაცი ბევრს ვერაფერს ვერ შეიძენს. ხუთ წლამდის შესძლო შვილის შენახვა, მეზობლებმა ფული მოაგროვეს და საცოდავი ისე დამარხეს, ბავშვი კი მე ავიყვანე. ამან ბევრი სიამოვნება მაგრძნობინა, ჯერ მხოლოდ შვიდი წლისაა და ისეთი მოხერხებული და მარჯვეა, რომ მე მწვანილის გაყიდვაში მშველის კვირაობით და ხუთშაბათობით; ისე დღეებში, სწავლის შემდეგ, მწვანილით დატვირთულ პატარა ეტლს ატა-

რებს ხოლმე. მუდმივ მყიდველს მწვანილს უწონავს და მათზე ჰყიდის. აბა, უხელოთ რა მუშაობა შემიძლია. უწინ, დღეში ათ ფრანკს ვშოულობდი! უნდა გითხრათ, რომ ძალიან გამჭრიას ხე და ცოცხალი ბავშვია. კიდეც მაგან იპოვნა თქვენი შვილი.

— მართლა მაგან? წამოიძახა გოდფრუამ.

— მაგან, მართალს მოგახსენებთ. ეგ სასწავლებლიდამ მოდიოდა და ნახა, რომ ქუჩაში მოდის პატარა ბავშვი, გულ ამოს-კვნით მოტიროლე. მაგან ანუგეშა, ჰკითხა ვინ არის, საიდამ, მაგრამ ვერ გაიგო რას ტიტინებდა თქვენი შვილი, თითქოს უცხო ენაზე ლაპარაკობდა. ჩემთან მოიყვანა, სადაც მწვანილით ვაჭრობდი. აქ დედაკაცები შემომეხვივნენ და ერთი განგაში შექმნეს. „უნდა უთუოთ პოლიციაში წაიყვანო და იქ გაარჩევენ მაგის ლაპარაკსო“. ჩემმა ბიჭმა არა ქნა: „იქ შეაშინებენ, ნუ წაიყვანოთ პოლიციაშიო“. ამასთანავე თქვენი შვილიც არ აპირებდა გაყოლას და თავის ამხანაგს არ შორ-დებოდა. რაც იყოს-იყოს, ვიფიქრე მე, ვაჭრობას თავი და-ვანებე და სახლში წამოვედით. აქ ვიგახშეთ და დავაძინე. რა ბავშვები არიან! შეხედეთ, ბატონო! რა ტებილათ და მშვენივრათ სძინავთ,—ამათ ყურებით ადამიანი ვერ გაძლება.

გოდფრუას გულში უცნაური ცვლილება ხდებოდა. როცა აქ მოდიოდა—ფიქრობდა, რომ შვილის მხსნელს ფუ-ლით ვაღუხდი მაღლობასაო, ეხლა კი ეტვი შეეპარა. მდიდარ კაცის წინ ფარდა აიხადა და ღარიბი ადამიანის ცხოვრება თვალწინ წარმოუდგა, თუ რამოდენა კეთილი გული და ძმური სიყვარული სუფევს ამათ შორის: ღარიბი დედაკაცი ძმიმე მუ-შაობაში მოკვდა, უნდოდა თავისი შვილი უქმროთ გამოეზარ-და; დასახიჩრებული, ღარიბი, ერთს წუთსაც არ შეტორტ-მანებულა, ბავშვი აუყვანია და პპატრონობს; ქუჩის ბიჭი მის შველებია თავისზე პატარა მოტირალე ბავშვს ქუჩაში, მას დამეგობრებია და როგორც უფროსი ძმა მზრუნველობა გაუ-წევია, ბიჭს უფიქრია, რომ პოლიციაში შეაშინებენო. ყველა ამ ამბავმა გოდფრუა გააკვირვა, და ძალიან ჩააფიქრა. არა, ეს ფულით არ გაღუხდის მაღლობას. უფრო კარგ საქმეს იზამს. ბავშვს აიყვანს და იმის აღზრდაზე იზრუნვას. პიერონსაც მფა-რველობას გაუწევს.

ბანკირის ყველა ნაცნობებს და მეგობრებს გაუკვირ-

დაკარგული ბავშვი.

დებოდათ იმის გულში რომ ჩაეხედათ. ეს კაცი თავის დღე-ში ამ გუნებაზე არ ყოფილა, იმას ეგონა, რომ ამ ოჯახს გაამ-დილრებდა და მფარველი გახდებოდა, მაგრამ პირ იქით იმ ლარიბმა ხალხმა უძვირფასესი საჩუქარი მიართვეს: ამათ იგი შეიბრალეს!

ის საწოლთან იდგა, ბავშვებს ჩასკეროდა და ფიქრობ-და. ბოლოს მობრუნდა და მწვანილის დამტარებლის პატიო-სან და კეთილ სახეს შეხედა.

— ჩემო კარგო, თქვენ და თქვენმა შვილობილმა ისეთი სიკეთე მიყავით, რომ ამის დაფასება შეუძლებელია. შემდეგ-ში ნახამთ, რომ მეც ვიცი სამაგიეროს გადახდა, მაგრამ, ნება მიბოძეთ, რომ მაღლობა გადავიხადოთ, ვხედავ, რომ თქვენ ლარიბმა ხართ და ამაღლებელი ლამის სახსოვრად...

გოდფრუამ ხელი ჯიბისკენ წაილო, მაგრამ პიერონმა შეა-ჩერა:

— არა, ბატონო, მე თქვენ მაგის ნებას ვერ მოგცემთ. ყველა ჩემს ადგილას მაგრე მოიქცეოდა. მე საჩუქარს არ მი-ვალებ, ნუკი გეწყინებათ. მართალია ლარიბი ვარ, მაგრამ ჯერ შიმშილით არ მოვკვდები: ღმერთი მოწყალეა, —ვიცხოვრებთ!

— კარგი, კარგი! შენი ნება იყოს. მაგრამ, ჩემო მეგო-ბარო, შენისთანა მხნე და მშრომელი განა უკეთეს საქმეს ვერ იშოვნის? ნება მომეცით ამაზე ვიზრუნო.

პიერონმა მწარე ღიმილით მიუგო, რომ ბევრნი შეპპირ-დენ, მაგრამ არაფერი არ შეუსრულეს.

— რასაკირველია, ბატონო, თუ კი მოწყალებას მოი-ღებთ და რამე უკეთეს საქმეს მიშოვით...

გოდფრუამ იგრძნო, რომ პიერონს დაპირება არა სჯერა და შესწუხდა: გუნებაში კი გაითიქრა: მწვანილის დამტარე-ბელს დავუმტკიცებ, რომ ეს უბრალო სიტყვა და დაპირება არ იქნება და ყოველ ღონეს ვიხმარებ, რომ კიდეც ავასრულო

— ახლა თქვენი შვილობილის შესახებ ხომ ნებას მიბოძებთ ვიზრუნო? ჰკითხა მან თანაგრძნობით და აღელვებულის ხმით.

— მაგისთვის, მაღლობას მოგახსენებთ, ბატონო, —უპასუხა მხიარულათ პიერონმა. —ბავშვზე ხშირად ვფიქრობ და ვწუ-ვარ, აბა, მარტო მე რა მფარველობას გაუწევი ყმაწვილი და-ლიან გონიერი და ჭკვიანია, მასწავლებლები ემაღლიერებიან..

პიერონი გაჩერდა. იმის თვალებში კიდევ უჭივი გამოიხატა. ეტყობა არა სჯეროდა, რომ ყველაფერი ისე კარგად შეუსრულდება, როგორც უნდოდა, მართალია ეს ვაჟბატონი ეხლა სიხარულისაგან კარგ გუნდბაზეა, მაგრამ, როგორც კი აქედან წავა, ყველაფერი დავიწყედებაო.

— ეხლა, ბატონი, — წამოიძახა პიერონშა, — შეიძლება
თქვენი ბავშვი ნელა ეტლში გადავიყვანოთ, არ გამოიღვიძებს,
ხედავთ, ორგორ მაგრა სძინავს, არც კი ინძრევა! თქვენ, რასა-
კვირველია გსურთ მალე სახლში წაიყვანოთ. იქა სჯობია,
მოითმინეთ, ჯერ უნდა ფეხთ ჩავაცვათ.

გოდფრედი პიერონის მიხერა — მოხერას თვალს ადევნებდა, ბუხარში ორი წყვილი ფეხსაცმელი დაინახა: რაულის კოხტა და რბილი და ამის შვილობილის — სხვილი წაღები... იქიდან თითო ხის ჯამბაზი და პატარა პარკი კონფეტებით მოსჩანდა.

— რას უყურებთ, ბატონო, — სთქვა თითქმის მორცხვათ
პიერონმა, ჩემმა ბიჭმა ძილის წინ ორივე წყვილი წალები
ბუხარში შეაწყო. იმასაც, როგორც ყველა ბავშვებს, ჰონია,
რომ შობის წინა ღამეს ანგელოზი საჩუქარს მოუტანს. რო-
ცა პოლიციიდამ სახლში ვძრუნდებოდი, ორივე ბავშვს ეს
უშნო სათამაშოები უყიდე. — ვიფიქრე, ვაი თუ ბავშვი ამაღამ
არ წაიყვანონ და ხვალ დილით გამოილვიდებს და სათამაშო
არ დახვდება მეთქი!..

გოდფრედის თვალები ცრემლებით აეკსო, როცა ამ კე-
თილი ღარიბი კაცის ლაპარაქს ისმენდა. უცბად ოთახიდან
გაყარდა და აუარებელი, დილანდელი ნაყიდი საჩუქრები შე-
მოიტანა, ორივე ფეხსაცმელების წინ დაალაგა. შემდეგ პიე-
რონს, რომელიც გაკვირვებული შესკეროდა ამ ბრწყინვა-
ლე სათამაშებს, მოეხვია და ალელვებული უთხრა:

— ჩემო, მეგობარო, ჩემო საყვარელო, ყველა ეს სახუ-
ქრები დილას ჩემ შვილს უყიდე. მინდა რომ იმას აქ დახვ-
დეს და შენს ბიჭს გაუყის. ღლეის იქით ესენი განუყრელი
შეგობრები და ამხანაგები იქნებიან. გემუდარებით, დამიჯვ-
რეთ, მე ვკისრულობ ამას იქით თქვენზე და ბავშვებ ზრუნვას
და მაინც კიდევ სამუდამოთ დავალებული ვიქნები, თქვენ მარ-

ରାଜଶର୍ମଗୁଣା ଦାସମ୍ଭାବ.

ତା ଶ୍ଵରିଲ୍ଲି କି ଏହି ଲାମିଥରୁନ୍ତେ, ତକ୍ଷେଣ ତପାଲୀଖି ଅମିଶିଲ୍ପଟ!
ମେଲାଲାଟ ଲାଲ୍ପି ଗିଗରୁନ୍ତେ, ଏହି ଆଜିନବାମଳିନ ଫୁଲକାତ ପ୍ରକଟେଣାରୁ-
ଦିଲ୍ଲି. କିମା ସିମଣିଦରୁମ୍ଭ ଲାରିବି ବାଲବି ଲାମାଗିନ୍ତୁପା, ମିମାତ ଗାନ୍ଧି-
ରେବାଚ୍ଚି, ମିଶ୍ରବାରେବାଚ୍ଚି ଏହି ପ୍ରତିକରନଦିଲ୍ଲି. ଏହି ଏହି ମନିନାର୍ଜ ଦାଵଶ୍ଵରିଲ୍ଲି
ଶିଳ୍ପ ସିର୍ପିତାଳ ଗାନ୍ଧିରୁପା, ଏହି ଏହାର ଦରନି ଏହି ଲାମାଗିନ୍ତୁପା ବିଲ୍ଲି, ଏହି
ଏହି ଦେଇନିଏରମା ଶବ୍ଦିଲ୍ଲି ଲାମିମ୍ଭ ସିରମାନିନ୍ଦା ମାଗରମନିନା.

ମ୍ରୀତିଶାରି.

(ତାରିଖମାନି.)



სახწაულები სახარას უდაბნოში



კვდარი, უსიცოცხლო უდაბნო სახარა ახლა ჰყარგავს თავის აღრინდელ სახეს, ყოველ წლობით რამდენიმე სამეცნიერო ექიპიდიციები მიემგზავრებიან სახარას გამოსაკვლევათ. ფრანგებმა გაიყვანეს რკინის გზა სახარაში რამოდენიმე მანძილზე და ფიქრობენ განაგრძონ გზა მთელ უდაბნოში; ასე რომ სახარა „უდაბნო“ თ აღარ ჩაითვლება. ხალხი იერიშით წინ მიდის, თან და თან იპყრობს ამდენ ხანს მიუვალ ადგილებს, იქ, საღაც აღრე ადამიანის ცხოვრება შეუძლებელი იყო. პატარა ხანს იქთ იფეთქებს სიცოცხლე, მოგვესმება ცოცხალ არსებათა ურიამული.

ადამიანს, სახარას გულში, შეხვდა მრავალი უცნობი მოვლენებები. რით არი გამოწვეული ეს მიზეზები მეცნიერებმა დღემდის არ იკიან, ვერც აუხსნიათ. ამ გვარ მოვლენებსე კუთვნის „მომღერალი მთა“ და „მოამბე ლრუბელი“.

ტუნისის, ალეირის და ტრიპოლის საზღვრებზე გადაჭიმულია ერთი უდაბნო „წითელ“ უდაბნოთ წოდებული; ამ უდაბნოში ამართულა ტიტველა, შავი მთა, რომელსაც „მომღერალ“ მთას ეძახიან. რა არის მომღერალი მთა? მთა და სიმღერას სწორეთ საკვირველებაა! მაგრამ არაფერი არ ყოფილა ბუნებაში შეუძლებელი, თუ კი მთას სიმღერა შეუძლია! ეს მთა კი მღერის, დრო გამოშვებით მოისმის რაღაც ხმაურობა, რომელიც, სიმღერას წააგავს, ეს სიმღერა ისმის მთის ფერდობზე მდებარე თაზისში. *) ამ თაზისის აღგილობრივი მცხოვარი იყო.


*) თაზის ეძახიან უდაბნოში ნოკიერ და საცხოვრებლათ კარგ აღგილებს.

რებნი ბევრს ეძებდენ ამ სიმღერის მიზეზს, და ბოლოს შეამნიეს, რომ, როგორც კი მთა ამღერდება ცის კიდეზე გა- მოჩნდება მომავალი ქარავანი. მთა არასოდეს არ ატყუებს მცხოვრებლებს. სიმღერის დაიწყებს მთა თუ არა ამ მხარეს ქარავანი ესტუმრება.

ამ გვარადვე შენიშნულია რამდენიმე ადგილზე სახა- რას უზაბნოში უმდევე მოვლენა: როგორც ცის კიდეზე გამოჩნდება პატარა მოგრძო ღრუბელი, მცხოვრებლები იტყვიან: აი ჩვენი უტყუარი მთხრობელი, სხანს მალე ქარავა- ნი გვესტუმრებათ, და მართლაც, რამდენიმე საათის შემდეგ გამოჩნდება ქვიშის ზღვაში მომავალი ქარავანი.

ამ გვარათ უდაბნოს აქვს თავისი ნიშნები, რომლითაც ამბავს ჰეზავნის უმავთულო ტელეგრაფის ცარის მფლობელი ამ უცნაურ მოვლენათა ახსნა ჯერ მეცნიერებას ვერ უპოვნიათ, თუმცა ბევრი მათგანი ხშირად მიემგზავრებონ. სახარაში „სასწაულების“ გამოსაკვლევათ.

იტა.



ସାଲିମିତ୍ର

1914 ଫ୍ଲେଟ୍ ଶୁଣନ୍ତର „କ୍ଷେତ୍ରିକାଳ“

ପାଠାଖାଳିକ ପାତ୍ରବିଧିରେ

ଲେଖକେବଳ.

	ନଂ	ପ୍ରକାଶିତ
* * ଲେଖକ ଶିକ୍ଷଣ ଲୋକମେଲିବା.	I	3
ଲେଖକ ମେଳନ୍ତରେବା. ଗେଲାବି.	—	21
ନିନ୍ଦା ଦା କେତିନିନ୍ଦା. ଗିରାର୍ଥି ସାଲାରିକିଲିବା.	—	28
ବାନ୍ଦା ଦା ଶାମତାରି. ବ. କୁରୀଶ୍ଵରିଲିବା.	II	67
ତିନିବା ମେଳନ୍ତରେବା. ଗେଲାବି.	—	85
ପରାମାର୍ତ୍ତିକାଲେବା. ଏକାକିଲିବା.	III	131
ମେଲାବ ଗାନ୍ଧିରାବ୍ଦା. ବ. ଶମଲ୍ଲେତ୍ତେଲିବା.	—	145
ଦୟାବାଲାବ ଦ୍ୱେଦିଷ୍ଟାଲାବ. ଶ. ମଲ୍ଲେମେଲିବା.	IV	195
ପାତ୍ରାରା ମେଲାବ. ବ. ଗାରିଗାଦିଲିବା.	—	212
ବାନ୍ଦାକ୍ଷେତ୍ରାଲୋ. ଡ. ତୁରିଦାଶକିର୍ତ୍ତେଲିବା.	V	259
”ଦାରାବ୍ୟରୀତା“. ବ. ରୁକ୍ଷବାଦିଲିବା.	—	273
ଅଲାଙ୍କୁରାଦି. ଶିକ୍ଷଣ ମଲ୍ଲେମେଲିବା.	VI	323
ଅନ୍ତିମ ଦା ତାତ୍ପରୀ. ବ. ରୁକ୍ଷବାଦିଲିବା.	—	335
ଶାରମାତ୍ର ବାନ୍ଦା. ବ. କୁରୀଶ୍ଵରିଲିବା.	VII-VIII	387
ପ୍ରଯାନ୍ତା ବିମଲାରା. ବ. ବିମଲାରାଲୁକିଲିବା.	—	393
ଦିକ୍ଷାକ୍ଷେତ୍ର. ଶ. ମଲ୍ଲେମେଲିବା.	IX	467
ଦାକ୍ତିର ଦା କୁରୀଦାଲେବ. ଶ. ମଲ୍ଲେମେଲିବା.	X	531
ନନ୍ଦାବାରା. ଶିକ୍ଷଣ ମଲ୍ଲେମେଲିବା.	XI	595
ପାଲା ପ୍ରକାଶ! ଶିକ୍ଷଣ ମଲ୍ଲେମେଲିବା.	XII	659
ପାତ୍ରାରା ହାଲା. ଗେଲାବି.	—	676
ଦାନିଶାଦା ବ. ଲେଖକିଲିବା	—	684

ମନୋରାଜବିଧିରେ

(ଅନୁଷ୍ଠାନିକ ଦା ନେତାକଥିକିତା)

	ନଂ	ପ୍ରକାଶିତ
ଶାରମାତ୍ର ଫ୍ଲେଟ୍ ହାଲେବ. ବ. କୁରୀଶ୍ଵରିକାନିଲିବା.	I	5
ଶୁଣନ୍ତର ମେଳନ୍ତରେବା. (ଦିକ୍ଷାକ୍ଷେତ୍ର) ମାନାନାବି.	—	18
ଦେବିକା କାର୍ତ୍ତିର. ଏକ. ଗାରାଶ୍ଵରିଲିବା.	—	30
ପ୍ରମାଦ ନାନ୍ଦାକାଳି. *	II	68
ମିଶ୍ର ଦା ତାମରିକା. ନିନ୍ଦା ଗୁର୍ବିନ୍ଦାଶ୍ଵରିଲିବା.	—	69

აფ მუშას ზარმაცობა ყოველთვის არ ჩაუვლის კ.

თაქთაქიშვილისა	III	140
შავ თავა ყვავი და ყვითელი ჩიტი იადონი. ა. ფალავასი.	—	151
დარბაისელი ვანო. ეკ. გაბაშვილისა	IV	204
შავ თავა ყვავი და ყვითელი ჩიტი იადონი. (დასასრული).	—	221
პატიოსანი შვილი. (წემეცურიდან)	V	260
ბებია მართა უმურაბოთ დარჩა. (ნამდვილი ამბავი).	—	262
ერთი საათის გულისოფვის. (ფრანგულიდან) არ.		
ავალიშვილისა.	—	266
ეშმაკური სანთელი. ფრანგ. არ ავალიშვილისა.	VI	328
ჯანიკო. მ. ბოჭორიშვილისა.	VII-VIII	392
თინა როგორ ჩაუვარდა ტყვეთ ავაზაკებს. ტასოსი.	—	401
ომი წაგებულია! (თარგმანი) კატო თაქთაქიშვილისა.	IX	469
ყურძნის ქურდი. ფ. სირაძისა.	—	484
პატარა ხუროთ მოძღვარი. ეკ. გაბაშვილისა.	XI	597
მამედას ტურა. (ფრანგულიდან) ა. ა—ი.	—	616
მაწანწალა ბიჭი. (საშობაო) ევგ. ურუშაძისა	XII	662
ექვს ნახევარი რნდოური. საშობაო (თარგ.) კუდრაჭასი	—	668
მჟედელი და მისი შვილი-შვილი. (თარგმანი) ელ.		
ხაბურზანიასი (დასასრული).	—	677

ბუნების მეტყველებიდან.

	№	გვერდი.
რა ახირებულია!	II	75
დედა თაგვი. (ბიკოვიდან).	III	133
არწივის მარცი. (იქიდანვე).	—	138
გოგიას ნაამბობი. კიქნა ფშაველასი.	—	147
ჰარილი. (იქიდანვე) კუდრაჭასი.	IV	209
ბამბა. (ბიკოვიდან) თარგ. კუდრაჭასი	V	264
მოყვარე ყოფილა და არა მტერი. (ბიკოვიდან).	VI	325
გატებილი ფინჯანი. (ბიკოვიდან).	—	333
მუსიკის მოყვარული კატა.	VII-VIII	389
დედოფალა ანუ სინდიოფალა. (ბიკოვიდან).	—	390
სპილოს დღიურიდან. (თარგმანი) ანიკოსი.	—	418
ბოსტანა. ტასოსი. (ბიკოვიდან)	IX	473
სპილოს დღიურიდან. (დასასრული) ანიკოსი.	—	477
როგორ შემოიდეს პირველათ ცული. (თარგ.) ალ.		
ლორდელისა	—	544
უცნაური თანაშემწე. (ბიკოვიდან).	XI	599

პიესები.

ვისი ბრალია!

№ II გვერდი. 87

იგავები, ზღაპრები, ლეგენდები, ჩვენი და უცხოეთისა.

	№	გვერდი.
ორი ძმა. ზღაპარი. ალ. ნათაძისა.	I	12
ზაფი მგელი. იაპონური ზღაპარი. ვ. საათაშვილისა.	—	23
ქვე მოსარჩევე. იასე რაჭველისა.	II	77
ზღაპარი-გამოცანა. გ. სალარიძისა.	III	135
წმიდა ვერონიკის ხელის შესაწმენდი.	IV	197
მარწყვის ღიდედა. ვანო საათაშვილისა.	—	214
მარწყვის ღიდედა. (დასასრული).	V	274
პატარა ტარიელი. ალ. ნათაძისა.	—	337
პატარა ტარიელი. მისივე .	VII-VIII	411
პატარა ტარიელი მისივე .	IX	488
იშვიათი პერანგი. (ლეგენდა) მანანასი.	X	533
მებაღურის ვაჟი-შვილი. ზღაპარი ლექსათ ი. მჭედლიშვილისა —	—	537
პატარა ტარიელი (დასასრული) ალ. ნათაძისა.	—	552
ქრისტე ღმერთი და ყმაწვილი. ვ. საათაშვილისა.	XI	602
მებაღურის ვაჟი-შვილი. (დასასრული) ი. მჭედლიშვილისა. —	—	607

უფროსების განეოფილება.

ლექსები და პოემები.

	№	გვერდი.
სურათი. ვ. გორგაძისა.	I	35
ობლები. ი. მჭედლიშვილისა.	II	97
გოდება ტყისა. გელასი.	III	157
ალდგომის ლილა. შ. მლეიმელისა.	IV	228
წყარო. ლ. გეგეჭკორისა.	V	281
დედა და შვილი. (არ. ჯორჯაძის ხსოვნას). გეგეჭკორისა.	—	308
სურათები. გელასი.	VI	351
მუხა. შ. მლეიმელისა.	VII-VIII	426
ლილა. გელასი.	IX	496
საღამოს უამი. გელასი.	X	563
ნისლი. გ. ქუჩიშვილისა.	XI	624
ზამთარი. ლექსი ვ. რუხაძისა	XII	686
ზამთრის პირი. ლექსი ვ. გორგაძისა	—	701

მოთხოვნები თრიგინალური და ნათარგმნი.

	№	გვერდი.
რკინის გზის ლიანდაგი. ეკ. მესხისა.	I	36
ძლიერ! გ. ქუჩიშვილისა.	II	98
მოხუცი მეთევზე. ნ. ენუქიძისა.	—	113
ირემი. გ. ქუჩიშვილისა.	III	160
მოხუცი მეთევზე. (დასასრული) ნ. ენუქიძისა.	—	170
სამშობლოს დაუბრუნდა. ან. წერეთელისა.	IV	230
ბეჭდინერება რისთვის არის ფრთა შეკვეცილი. ცქი-	—	236
ტისა. (თარგმანი).	V	282
გმირი მოღალატე. (თარგმანი) ან. წერეთლისა.	—	304
მზისკენ. ვ. საათაშვილისა.	VI	374
ორი ძმა. (თარგმანი) ირ. ფერაძისა.	VII-VIII	427
ორი ძმა. (დასასრული) მისივე.	—	449
მამა ფერელონი მეჯლისს ქსწრება. (ფრანგ.) ან. წერეთლისა	IX	502
უწნაური მესტვირე. (თარგ.) ან. წერეთლისა.	X	564
დიდების მაძიებელი. ალ. ფალავასი.	—	625
უჯახის ერთგული. ანიკასი.	XI	629
გალილეი. (რუსულიდან) ან. წერეთლისა.	—	632
დიდების მაძიებელი. (დასასრული) ა. ფალავასი.	—	687
თავის გაჩენილს ღმერთი არ დაკარგავს. საშობაო მო-	—	694
თხრობა ეკ. გაბაშვილისა.	XII	702
განარგული ბავშვი. ფრანსუა კოპესი. თარ. ეკ. მესხისა.	—	—

პიესები.

	№	გვერდი.
წითელი კერძი. გადმოყეობული გ. მ—ა	IV	240
განარგული სწავლობს გაკვეთილს. ნ. გოგნიაშვილისა.	IX	497

ბუნების მეტყველებიდან, მოგზაურობა და სამეცნიერო
სტატიები.

	№	გვერდი.
პირველ ყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება. იტა	—	46
ნაკაშიძისა.	I	54
მტკვრის სათავე, ჭოროხი და თამარ მეფე. ილ.	—	102
პირველ ყოფილ ადამიანის ყოფა ცხოვრება. იტა.	—	108
ნაკაშიძისა.	—	—

ଦର୍ଶନେବିତ ପାଲଦ୍ୱାରା ପାଲଦ୍ୱାରା ପାଲଦ୍ୱାରା		III	162
ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ପାଲଦ୍ୱାରା			
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ସାତାଵ୍ୟ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ତାମାର ମେଘେ . ୧୯.	—	175	
ଅଳ୍ପାଶିତିଶ୍ୱାସିରିବା			
ପିଲୁପ୍ରେଲ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ପାଲଦ୍ୱାରା ପାଲଦ୍ୱାରା . ୧୮୦	—	180	
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ସାତାଵ୍ୟ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ତାମାର ମେଘେ . ୧୯.	IV	247	
ପିଲୁପ୍ରେଲ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ପାଲଦ୍ୱାରା ପାଲଦ୍ୱାରା . ୨୫୪	—	254	
ପିଲୁପ୍ରେଲ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ପାଲଦ୍ୱାରା ପାଲଦ୍ୱାରା . ୨୮୯	V	289	
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ସାତାଵ୍ୟ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ତାମାର ମେଘେ . ୨୯୬	—	296	
ପିଲୁପ୍ରେଲ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ପାଲଦ୍ୱାରା ପାଲଦ୍ୱାରା . ୩୫୩	VI	353	
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ପାଲଦ୍ୱାରା ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ମେଘନାର୍ଜୁତା . ୧୯.	—	358	
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ସାତାଵ୍ୟ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ତାମାର ମେଘେ . ୧୯.	—	368	
ଅଳ୍ପାଶିତିଶ୍ୱାସିରିବା			
ପିଲୁପ୍ରେଲ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ପାଲଦ୍ୱାରା ପାଲଦ୍ୱାରା . ୪୩୪	VII-VIII	434	
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ପାଲଦ୍ୱାରା ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ମେଘନାର୍ଜୁତା ପାଲଦ୍ୱାରା . ୪୪୩	—	443	
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ସାତାଵ୍ୟ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ସ୍ବର୍ଗା . ୪୫୨	—	452	
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ସାତାଵ୍ୟ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ମେଘନାର୍ଜୁତା ପାଲଦ୍ୱାରା . ୫୧୨	IX	512	
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ସାତାଵ୍ୟ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ସ୍ବର୍ଗା . ୫୨୧	—	521	
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ସାତାଵ୍ୟ ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ସ୍ବର୍ଗା . ୫୭୨	X	572	
ଶାତାବ୍ଦୀ ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ଦିରର ପାଲଦ୍ୱାରା . (ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ମେଘନାର୍ଜୁତା) . ୫୭୮	—	578	
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ମେଘନାର୍ଜୁତା . ୬୩୯	XI	639	

ବିଷୟାବଳୀ ହିନ୍ଦୀ ଏବଂ ଉଚ୍ଚବ୍ରତିକା.

ନଂ	ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ
I	60
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା . (ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ମେଘନାର୍ଜୁତା) .	—
II	100
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ସାତାଵ୍ୟ ପାଲଦ୍ୱାରା . ୧୦୦	—
III	117
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ସ୍ବର୍ଗା . ୧୨୫	—
IV	125
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ସ୍ବର୍ଗା . ୧୮୫	—
V	307
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ସ୍ବର୍ଗା . ୩୦୯	—
VI	379
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ସ୍ବର୍ଗା . ୩୭୯	—
VII-VIII	460
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ସ୍ବର୍ଗା . ୪୬୦	—
IX	524
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ସ୍ବର୍ଗା . ୫୨୪	—
X	587
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ସ୍ବର୍ଗା . ୫୮୭	—
XI	645
ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ସ୍ବର୍ଗା . ୬୪୫	—

ମର୍ଦ୍ଦବୀରିର ପାଲଦ୍ୱାରା ଏବଂ ସ୍ବର୍ଗା . ୬୪୫